



## ანტილიბერალური ნეიტვისტური გამოწვევა საქართველოსთვის:

რამდენად დიდია ის და რა შეიძლება გააკეთოთ ამასთან დაკავშირებით?

გია ნოდია

### მიზნები და ძირითადი მიზნებები

ბოლო წლებში საქართველოში გააქტიურდნენ აგრესიულად ანტილიბერალური ნეიტვისტური ჯგუფები (სიმოკლისთვის მათ „აღნიშნულ ჯგუფებს“ ვუწოდებთ), რომლებიც პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესების თვალსაზრისით მონაწილეებად იქცნენ. ამან როგორც საზოგადოების, ისე მკვლევართა ინტერესი გამოიწვია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის აღნიშნულ ჯგუფების საქმიანობის კვლევა და ანალიზი: ამ ნაწილში სხვების მიერ უკვე შესრულებულ სამუშაოს ვეყდრებით. ჩვენი ძირითადი მიზანია შევფასოთ, რას მოასწავებს მათი გაძლიერება საქართველოს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით: უნდა ჩავთვალოთ ის საფრთხედ, რომელზეც შესაბამისი რეაგირებაა საჭირო, თუ ეს პროცესი უნდა დავინახოთ როგორც დემოკრატიული პლურალიზმის გარდუვალი, თუმცა, შესაძლოა, ლიბერალური მსოფლმხედველობის ადამიანებისთვის არასასურველი გამოვლენა?

ასეთი შეფასება საჭიროებს აღნიშნულ ჯგუფების ბოლოდროინდელი გააქტიურების მიზეზების კვლევას. ამას ნაშრომის უდიდესი ნაწილი ეძღვნება.

ამ მოვლენის მიზეზების კვლევისა და მისი შესაძლო შედეგების შეფასების საფუძველზე უნდა განვსაზღვროთ, რა უნდა გააკეთონ ან არ გააკეთონ ამ ტენდენციის საპასუხოდ პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა აქტორებმა, რომლებიც ლიბერალური და დემოკრატიული ინსტიტუტების და ნორმების დანერგვას საქართველოს წარმატებული განვითარების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევენ.

კვლევის შედეგად ჩამოვყალიბებთ შემდეგი ძირითადი მოსაზრებები, რომელთაც ნარკვევის ძირითად ტექსტში ვშლით და ვასაბუთებთ:

- თუმცა საქართველოში აღნიშნულ ჯგუფების გააქტიურება დასავლეთში ანალოგიური პროცესების მსგავსია, აქ არ მოქმედებს ის ფაქტორები (მასობრივი იმიგრაცია, ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგები), რასაც ავტორთა უმრავლესობა განვითარებულ დემოკრატიებში აღნიშნულ ჯგუფების გაძლიერებას უკავშირებს.
- ამ საკითხზე მომუშავე პრაქტიკულად ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ არსებობს აშკარა და სისტემური თანხვედრა აღნიშნულ ჯგუფების რიტორიკასა და რუსეთის პროპაგანდის ძირითად გზავნილებს შორის. თუმცა, არ არსებობს ერთიანი აზრი იმაზე, რამდენად შეიძლება ნიშნავდეს ეს აღნიშნულ ჯგუფების პირდაპირ კავშირს რუსეთთან.
- როგორც არ უნდა შევფასოთ კონკრეტული აღნიშნულ აქტორების შესაძლო კავშირები რუსეთთან, საქართველოში აღნიშნულ ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, ჩვეულებრივ, ორ სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ: ერთი მხრივ, როგორც ლიბერალიზმის და ადამიანის უფლებების ნორმათა დაცვის შემაფერხებელ ფაქტორს, მეორე მხრივ, როგორც გეოპოლიტიკურ

შინაარსი

მიზნები და ძირითადი მიზნებები

1. არსებული მდგომარეობა
2. მიზეზები
3. შეფასება
4. რეკომენდაციები

გამოწვევას. მათი მოღვაწეობა და გზავნილები ქვეყანას მის ტრადიციულ პარტნიორს, დასავლეთის დემოკრატებს, აშორებს და აახლოებს რუსეთს, რომელსაც ქართული საზოგადოების უმრავლესობა საფრთხის წყაროდ მიიჩნევს.

- ამგვარი ჯგუფების გააქტიურება და გაძლიერება, პირველ რიგში, შიდა ფაქტორებით აიხსნება. ამთავან ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნით წარმოდგენები რეგიონში ძალაუფლების ბალანსის შეცვლაზე დასავლეთსა და რუსეთს შორის, რეაქცია საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების მოდერნიზაციის და ვესტერნიზაციის პროცესებზე და სახელისუფლებო პოლიტიკა 2012 წლის შემდეგ.
- მოცემულ ეტაპზე აღნ ჯგუფების აქტივობა მცირე ან საშუალო მნიშვნელობის მქონე საფრთხეა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ შეცვლილ ვითარებაში ეს საფრთხე არსებითად გაიზარდოს.
- მოცემულ ეტაპზე აღნ ჯგუფების გააქტიურებისგან მომდინარე საფრთხეები, ძირითადად, უმცირესობათა უფლებების დაუცველობას და პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის ზრდას უკავშირდება.
- ჯერჯერობით, აღნ აქტორების გავლენა იმდენად დიდი არ არის, რომ საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ორიენტაცია ეჭვის ქვეშ დააყენოს.
- აღნ დღის წესრიგის დამცველი აქტორების არსებობა, მოგვწონს თუ არა ის, თანამედროვე საზოგადოებაში დემოკრატიული პლურალიზმის გარდუკალი ნაწილია. მაგრამ პრინციპულად განსხვავებული უნდა იყოს დამოკიდებულება აგრესიული აღნ ჯგუფების მიმართ, რომლებიც საკუთარი მიზნების მისაღწევად ძალადობას, ძალადობის მუქარას ან ძალადობისკენ მოწოდებას მიმართავენ.
- საზოგადოების მხრიდან დაგმობის საგანი უნდა იყოს აგრეთვე სიძულვილის ენის გამოყენება და ე.წ. ფეიკ-ნიუსების შეგნებული გავრცელება, რაც აგრეთვე ბევრ აღნ აქტორს ახსიათებს.
- აღნ ჯგუფების გაძლიერებიდან მომდინარე გამოწვევებთან გამკლავება პრინციპულად ახალი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნას ან რაიმე სხვა საგანგებო ზომების მიღებას არ მოითხოვს. საჭიროა არსებული საკანონმდებლო მექანიზმების უფრო თანმიმდევრული გამოყენება.
- საქართველოს არსებული ხელისუფლება არ იყენებს არსებულ კანონმდებლობას და სათანადოდ არ სჯის აღნ ჯგუფებისგან მომდინარე ძალადობას, ძალადობის მუქარას ან ძალადობისკენ მოწოდებებს. ამ პოლიტიკის შეცვლა მდგომარეობის გაუმჯობესების ყველაზე მარტივი და, ამავე დროს, აუცილებელი გზაა.
- გრძელვადიან პერსპექტივაში აგრესიული აღნ ჯგუფების შემდგომი გაძლიერების თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს ცნობიერების ამაღლების და სამოქალაქო განათლების ღონისძიებებს.

*ნაშრომის წყაროები, მეთოდოლოგია და სტრუქტურა*

ბოლო წლებში აღნიშნული საქმიანობაზე საკმაოდ ბევრი ანალიტიკური ნაშრომი დაიწერა.<sup>1</sup> მათი წყალობით შეიქმნა საკმაოდ კარგი სურათი იმისა, თუ, სახელდობრ, რა ჯგუფებთან გვაქვს საქმე, რა არის მათი ძირითადი გზავნილები და საქმიანობის ხერხები, როგორია მათი წევრების ტიპური სოციალური პროფილი, რა სოციალურ ფონზე მოხდა მათი გაძლიერება და ა. შ. გარდა ამისა, მუშაობს სერიოზული პროექტები, რომლებიც ეძღვნება ამგვარი ჯგუფების მიერ გავრცელებული კონკრეტული ინფორმაციის სიფაღის სისტემურ და თანმიმდევრულ მხილებას.<sup>2</sup> ეს უკვე ჩატარებული სამუშაო ძალიან დაგვიხმარა ჩვენი მიზნების დასახვასა და განხორციელებაში.

რაკი ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია არა თავად აღნიშნული საქმიანობაზე, არამედ იმ შესაძლო პასუხებზე, რაც ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების დამცველ საზოგადოებას აქვს ან უნდა ჰქონდეს ამ ტენდენციის მიმართ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამგვარი განწყობის მქონე ადამიანების შეხედულებათა შესწავლა. პროექტის ფარგლებში ჩატარებული ემპირიული კვლევა, რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავდა. ჩატარდა 13 ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან; მათი შედეგების საფუძველზე საექსპერტო რაოდენობრივი კვლევისთვის შეიქმნა კითხვარი, რომელსაც 117-მა ექსპერტმა ონლაინ უპასუხა: აქედან 42% აკადემიურ სფეროს წარმოადგენდა, 36% – არასამთავრობო სექტორს, 8% დამოუკიდებელი მკვლევარი იყო, დანარჩენები კი – მედიასთან, საჯარო სამსახურთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა სფეროებთან იყვნენ დაკავშირებული. ცხადია, ასეთ კვლევას ვერ ექნება განზოგადების პრეტენზია, მაგრამ ის გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მოცემულ სემანტიკაში მოსაზრებების და განწყობების განაწილებაზე. კვლევის მონაწილეებს ჰქონდათ თავისი მოსაზრებების დასაბუთების შესაძლებლობაც, რამაც დამატებითი ღირებული მასალა შეგვძინა. ჩატარდა აგრეთვე საექსპერტო მრგვალი მაგიდა იმ მკვლევარებთან, ვინც უშუალოდ ამ პრობლემატიკის შესწავლით არის დაკავებული.

ნარკვევის პირველი ვერსია განხილულ იქნა მრგვალ მაგიდაზე თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში და სარეცენზიოდ გადაეგზავნა კომპეტენტურ ექსპერტებს. ჩვენ მადლიერი ვართ გამოთქმული შენიშვნებისთვის და ვეცადეთ, ისინი მაქსიმალურად გამოგვეყენებინა საბოლოო ვერსიაში. ყველა შეცდომასა და ნაკლოვანებაზე მხოლოდ ავტორი ავებს პასუხს.

ნაშრომს ვიწყებთ ვითარების მოკლე აღწერით: კონკრეტულად, რა ჯგუფებთან გვაქვს საქმე, როდის და გზავნილებს ისინი უფრო ხილვადნი და გავლენიანი; შემდეგ ვცდილობთ მათი გაძლიერე-

ამ საკითხზე მომუშავე პრაქტიკულად ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ არსებობს აშკარა და სისტემური თანხვედრა აღნიშნული ჯგუფების რიტორიკასა და რუსეთის პროპაგანდის ძირითად გზავნილებს შორის. თუმცა, არ არსებობს ერთიანი აზრი იმაზე, რამდენად შეიძლება ნიშნავდეს ეს აღნიშნული ჯგუფების პირდაპირ კავშირს რუსეთთან.

ბის მიზეზების ანალიზს, რისთვისაც პარალელს ვავლებთ ანალიტიკურ პროცესებთან განვითარებულ დემოკრატიებში; ამას მოსდევს შეფასება, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს აღნიშნული ჯგუფების გაძლიერებამ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე და რამდენად შეადგენს ის საფრთხეს საქართველოში ლიბერალური დემოკრატიის და ადამიანის უფლებების ნორმების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის; დასასრულ, გამოვთქვით რეკომენდაციები პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტორების მიმართ.

### 1. არსებული მდგომარეობა

*რა გზავნილებით განისაზღვრება აღნიშნული ჯგუფების იდენტობა?*

აღნიშნული ჯგუფები საქართველოში საკმაოდ მრავალსაზოვანია და მათი დაყვანა ერთიან მსოფლმხედველობაზე არც ისე მარტივია. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი მოსაზრება, რომელიც მათთვის საერთოა და მათ იდენტობას განაპირობებს.

- (1) ლიბერალური ღირებულებები, რომელთაც დასავლეთი ავრცელებს, ყალბია და საზიანოა საქართველოსთვის. ისინი ასუსტებენ ტრადიციულ ქართულ კულტურას, ინსტიტუტებს და საზოგადოებრივ მორალს. განსაკუთრებით მიუღებელია საქსუალური უმცირესობების დაცვა, რაც იგივე ამორალიზმის პროპაგანდაა.
- (2) საქართველოს ლიბერალური ელიტები, მათ შორის, პროდასავლური პოლიტიკური პარტიები, დასავლურ დაფინანსებაზე დამოკიდებული არასამთავრობო ორგანიზაციები, პროდასავლური ორიენტაციის მედია, ლიბერალური განწყობის მქონე საჯარო ინტელექტუალები და სხვები ქვეყნისთვის საზიანო საქმეს აკეთებენ და, შესაძლოა, გლობალური ელიტების ინტერესებს ემსახურებოდნენ.
- (3) მართლმადიდებლობა ქართული იდენტობის და კულტურის ცენტრალური ელემენტია, მართლმადიდებელი ეკლესია კი – მისი საკანონო დამცველი. გარე და შიდა ლიბერალური ძალები

მოცემულ ეტაპზე აღნიშნული ჯგუფების აქტიუობა მცირე ან საშუალო მნიშვნელობის მქონე საფრთხეა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ შეცვლილ ვითარებაში ეს საფრთხე არსებითად გაიზარდოს.

რა დავარქვათ მათ?

ამ თემაზე მუშაობის პროცესმა გვაჩვენა, რომ ქართველ მკვლევრებს და აქტივისტებს უჭირთ შეთანხმება იმაზე, რა კონკრეტული სახელით მოვიხსენიოთ ჯგუფები, რომლებზეც აქ საუბარი გვექნება. ეს იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ სოციალურ მეცნიერებაში ტერმინოლოგია ხშირად საკვლევი ობიექტის ფარულ შეფასებასაც მოიცავს.

ამ კონტექსტში ხშირად გამოიყენება ანალოგიური ჯგუფების მიმართ დასავლეთში გავრცელებული ტერმინები: „უკიდურესი მემარჯვენე“, „ნაციონალისტური“, „კონსერვატიული“ და ა. შ., რაც ხანდახან კრიტიკის საგანი ხდება. ტერმინ „ნაციონალიზმს“ დასავლეთში უფრო ხშირად ნეგატიური კონოტაცია ახლავს, მაგრამ საქართველოში ბევრი ხაზს უსვამს სამოქალაქო ნაციონალიზმის კავშირს ლიბერალურ ღირებულებებთან. „ნაციონალისტები“ შეგვიძლია ვუწოდოთ მათაც, ვინც აქტიურად ილაშქრებს რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ. ტერმინი „მემარჯვენე“ ხშირად ლიბერტარიანული თუ ნეოლიბერალური მსოფლმხედველობის მომხრეთა მიმართ გამოიყენება, რაც ბუნდოვანს ხდის, რას ნიშნავს ჩვენს პირობებში „უკიდურესი მემარჯვენე“. ასევე, არ არის ცხადი საქართველოს კონტექსტში სიტყვა „კონსერვატიული“ საზრისი: რის „კონსერვატიაზე“ შეგვიძლია ვისაუბროთ იქ, სადაც წარსული, დიდწილად, კომუნისტურ სისტემას უკავშირდება.

უფრო სწორი იქნება, სახელდებისას ამოვიდეთ იმ რეალური გზავნილებიდან, რაც განსახილველი ჯგუფების იდენტობას განსაზღვრავს. მათ, პირველ რიგში, აერთიანებთ აგრესიული დამოკიდებულება ლიბერალიზმის მიმართ; მეტიც, ლიბერალიზმის მტრის სატად წარმოჩენა მათი იდენტობის ცენტრალური ელემენტია. ამიტომ ბუნებრივია, ამ ჯგუფებს „ანტილიბერალური“ ვუწოდოთ. მაგრამ ლიბერალიზმს საქართველოში აქტიურად ეწინააღმდეგებიან მემარცხენე ჯგუფებიც, ვის თვალშიც ის კაპიტალიზმის და ინდივიდუალიზმის აბოლოგია ნიშნავს. მემარცხენე ანტილიბერალებისგან განსახვებლად გამოვიყენებთ ტერმინს ნეიტრალიზმი. თუ ნაციონალიზმის ძირითადი იდეა ერის პოლიტიკური სუვერენიტეტია, ნეიტრალიზმი ორიენტირებულია ეთნიკური ჯგუფის რასობრივი და კულტურული „სიწმინდის“ დაცვაზე ძალებისგან, რომლებიც, ამ თვალთახედვით, ერის კულტურის, ცხოვრების წესის და, შესაძლოა, „გენოფონდის“ შეცვლას ცდილობენ. აქედან გამომდინარე, ამ ნაშრომში გამოვიყენებთ სახელს „ანტილიბერალური ნეიტრალისტური ჯგუფები“ ან, უფრო მოკლედ, „აღნი ჯგუფები“.

ეს სახელწოდება არ ასახავს, რამდენად ზომიერი თუ უკიდურესია ეს ჯგუფები, რამდენად არიან ისინი ორიენტირებული დემოკრატიული პროცედურების ფარგლებში მოქმედებაზე თუ ძალადობრივი, არაკონსტიტუციური მეთოდების გამოყენებას ანიჭებენ უპირატესობას. აღნი ორიენტაცია შეიძლება ორივე ტიპის სამოქმედო სტრატეგიას გულისხმობდეს.

- ყველაზე მეტად მათ ებრძვიან. ეკლესია ძირითადი მოკავშირეა ლიბერალურ ძალებთან ბრძოლაში.
- (4) საქართველოში უცხოელების, განსაკუთრებით, მუსლიმური ქვეყნების (თურქეთი, ირანი, არაბული ქვეყნები და სხვა) მოქალაქეთა შემოდინება და მათი ბიზნეს-აქტივობა საფრთხეს უქმნის ქვეყანას, მის კულტურას და თავისთავადობას; ამის უკან შეიძლება ქვეყნის ისლამიზაციის ფარული გეგმა იმალებოდეს.
- (5) კურსი ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციაზე ქვეყნისთვის კონტრპროდუქტიულია. ამის საპირისპიროდ, მეტი პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას (თუნდაც მას „ოკუპანტად“ და ქართული სახელმწიფოს საფრთხედ ვხედავდეთ). ალტერნატიული პოლიტიკური კურსის სახით ზოგი აღნი ჯგუფი ნეიტრალიტეტს გვთავაზობს. ევრაზიულ კავშირში გაერთიანების დია მხარდაჭერა შედარებით იშვიათია.

სხვადასხვა ჯგუფი შეიძლება შეხედულებათა ამ „პაკეტის“ სხვადასხვა კომპონენტზე სვამდეს მას-ვილს და მას სხვადასხვა პრიორიტეტს ანიჭებდეს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათი ერთობლიობა საკმარისად კარგად გამოკვეთს იმ სეგმენტის თავისებურებას, რაც აქ მხედველობაში გვექნება.

*რა ტიპის აქტორები გვყავს მხედველობაში?*

„აღნი ძალებზე“ საუბრისას ვგულისხმობთ სხვადასხვა გაერთიანებას თუ პიროვნებას, რომლებიც განსხვავდებიან ორგანიზების ფორმით და საქმიანობით. მათი ძირითადი ტიპები შემდეგია:<sup>3</sup>

*პოლიტიკური პარტიები.* პოლიტიკურ სპექტრში ამ მიმართულების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (ლიდერები – ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი). ის პირველი ასეთი პარტიაა, რომელიც 2016 წლის არჩევნებზე საქართველოს პარლამენტში მოხვდა, თუმცა საამისოდ

**ჯერჯერობით, აღნი აქტორების გავლენა იმდენად დიდი არ არის, რომ საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ორიენტაცია ეჭვის ქვეშ დააყენოს.**

რამდენად მიკერძობულები ვართ?

ამ ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას გამოხატავს, რომელსაც, ფართო გაგებით, „ლიბერალური“ ან „პროდასავლური“ შეიძლება ვუწოდოთ. ამ პოზიციაზე მდგომ ადამიანებს შეიძლება მეტად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ მრავალ საკითხზე, მაგრამ ისინი შეთანხმებულნი არიან ზოგად ნორმატულ ხედვაზე: საქართველო უნდა განვითარდეს როგორც დასავლური სტილის ლიბერალური დემოკრატია. შესაბამისად, ყველაფერი, რაც ამ მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს, ფასდება როგორც „კარგი“, ხოლო ის, რაც მას ხელს უშლის, „ცუდი“. კვლევის მონაწილეები საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც ამ ზოგად ხედვას იზიარებს, ხშირად მოიხსენიებდნენ სიტყვით „ჩვენ“, ხოლო მის მოწინააღმდეგეებს - სიტყვით „ისინი“. ეს ამ კვლევის გაცხადებულ მიკერძობად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ზოგმა მკითხველმა შეიძლება იმ თვალსაზრითაც დაგვაბრალოს მიკერძობა, რომ ნაშრომში უფრო ხშირად გამოითქმის კრიტიკული განწყობა ხელისუფლების, ვიდრე სხვა პოლიტიკური მოთამაშეების მიმართ. ასეთი ბრალდება სტანდარტულად იქცა სამოქალაქო საზოგადოების მიმართ, ეს კვლევა კი დიდწილად სამოქალაქო საზოგადოების პოზიციას ასახავს. ამის საპასუხოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულობა სამოქალაქო საზოგადოების ტიპური ნიშანია; „მიკერძობის“ ბრალდების წინააღმდეგ გადამწყვეტი არგუმენტი ისაა, რომ ის ქვეყნის წინამორბედ ხელისუფლებებსაც არანაკლებ მკაცრად აკრიტიკებდა.

აუცილებელი ხმების მინიმალური რაოდენობა (5 პროცენტი) მიიღო. გამოკითხვების მიხედვით, ის ინარჩუნებს მხარდაჭერის საკმარის დონეს, რომ მომავალ პარლამენტში მსგავს წარმატებას მიაღწიოს. ამავე მიმართულებას შეიძლება მივაკუთვნოთ პარტიები „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ (ნინო ბურჯანაძე), „თავისუფალი საქართველო“ (კახა კუკავა) და ზოგიერთი სხვა, თუმცა მათი გავლენა გაცილებით მცირეა.<sup>4</sup>

*არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები.* ამ კატეგორიაში შედის მრავალი ორგანიზაცია, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტებით, მოქმედების მეთოდებით, ორგანიზაციის დონით და გავლენით და ა. შ. თუმცა მათი უმეტესობა, ზოგადად, მართლმადიდებლობის ქომაგად და დამცველად აცხადებს თავს, ზოგი მათგანისთვის მართლმადიდებლობის დაცვა მათი იდენტობის ცენტრალური ნაწილია (ამათგან ყველაზე ცნობილი და შედარებით ძველი მართლმადიდებელ მშობელთა კავშირია). სხვები (მაგალითად, „ქართული მარში“) უფრო მეტად ერის ეთნო-რასობრივ სიწმინდის დამცველად გვევლინება. ბევრი მათგანი იყენებს ძალადობრივ მეთოდებს თავისი ოპონენტების წინააღმდეგ, თუმცა რიტორიკის დონეზე თავს მშვიდობიან ძალად წარმოაჩენს. არიან ჯგუფები, რომლებსაც ღიად ნეონაციისტური შეიძლება ვუწოდოთ (მაგ., „ქართული ძალა“, „ედელვაისი“), თუმცა ისინი ნაკლებ ხილვადი და გავლენიანია. ზოგი ჯგუფი შედარებით უფრო აქტიურია საჯარო სივრცეში (მათ შორის – მედიაში), სხვა ჯგუფები ნაკლებ ორგანიზებულია და მხოლოდ ეპიზოდურად ავლენენ თავს.

*მედია-ორგანიზაციები.* აღნიშნული ჯგუფები საკმაოდ ფართოდ არიან წარმოდგენილი როგორც ტრადიციულ, ისე ახალ, ელექტრონულ და ინტერ-

**აღნიშნული ჯგუფების გაძლიერებიდან მომდინარე გამოწვევებთან გამკლავება პრინციპულად ახალი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნას ან რაიმე სხვა საგანგებო ზომების მიღებას არ მოითხოვს.**

ნეტ-მედიაში. ექსპერტების აზრზე დაყრდნობით, ყველაზე გავლენიანად შეგვიძლია ჩავთვალოთ პატრიოტთა ალიანსთან ასოცირებული ტელე- და რადიოკომპანია „ობიექტივი“, აგრეთვე გაზეთი „სავალ-დასავალი“. აღნიშნულს ავრცელებს ბევრი საინფორმაციო ვებ-გვერდი: მათ შორის რესპონდენტებმა გამოარჩიეს საინფორმაციო ვებ-გვერდი „ალტ-ინფო“. გარდა ამისა, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ სოციალურ ქსელებში მოქმედებენ და იქ სისტემურად და მიზანმიმართულად შესაბამის შინაარსს ავრცელებენ.

*თვალსაზირო საჯარო და საეკლესიო პირები.* გარდა ჯგუფებისა და ორგანიზაციებისა, შეგვიძლია ვისაუბროთ საჯარო პირებზე თუ „ცნობად სახეებზე“, რომლებიც აღნიშნული მოძრაობის გზაწილეების თვალსაზირო გამჟღავნებლებად იქცნენ. მაგალითად, გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობას აღნიშნულთა მხარეზე სხეულებისას პირველ რიგში გაახსენდა ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელიც ამავე დროს საჯარო ინტელექტუალის და აქტივისტის ამპლუაშიც გვევლინება. აღნიშნული მოძრაობის საჯარო სახეებად იქცნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცალკეული წარმომადგენლები: ექსპერტები ყველაზე ხშირად ახსენებდნენ ბოდბის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს იაკობს, ურბნისისა და რუისის ეპარქიის მიტროპოლიტ იობს, ლეკაიზ და ვითი ისაკაძეს და ზოგიერთ სხვას.

**საქართველოს არსებული ხელისუფლება არ იყენებს არსებულ კანონმდებლობას და სათანადოდ არ სჯის აღნიშნული ჯგუფებისგან მომდინარე ძალადობას, ძალადობის მუქარას ან ძალადობისკენ მოწოდებებს.**

*რამდენად და როლიდან გაიზარდა ალნ ჯგუფების ხილვადობა და გავლენა?*

პრაქტიკულად, ყველა ექპერტი თანხმდება, რომ ბოლო პერიოდში ალნ ჯგუფების ხილვადობა და გავლენა გაიზარდა. კერძოდ, რაოდენობრივ სა-ექსპერტო კვლევაში ასე თვლის გამოკითხულთა 86% (თუმცა მხოლოდ 32% ეთანხმება, რომ ის „ძალიან გაიზარდა“). ოღონდ, ამ შემთხვევაში ისიც უნდა განვსაზღვროთ, სახელდობრ, რას ვგულისხმობთ „ბოლო პერიოდში“. ზოგიერთის

აზრით, წყალგამყოფი 2012 წელია, როდესაც ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა ქართულმა ოცნებამ შეცვალა. ეს არ გამორიცხავს, რომ ზოგი ორგანიზაცია ან ფიგურა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ალნ მოძრაობაში, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ბოლო წლებში გამოჩნდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, ზოგი კი უფრო ადრე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით ბოლო 8-10 წელი ის პერიოდია, როდესაც უტყუარად შეგვიძლია ვილაპარაკოთ ალნ ჯგუფების გააქტიურებაზე,

შეადგენენ თუ არა ალნ ჯგუფები სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს?

საქართველოში ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ დამკვიდრდა დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კარგი მმართველობის ნორმების და ინსტიტუტების დამცველი არსამთავრობო ორგანიზაციების აღსანიშნად. ალნ ჯგუფები მათ განსაკუთრებით მკვეთრად უპირისპირდებიან, როგორც უცხო, დასავლური ნორმების დამცველებს.

ამის მიუხედავად, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ალნ ჯგუფებიც სამოქალაქო საზოგადოების ნიშნებს ატარებენ. ეს გარკვეული ღირებულებების და ინტერესების დასაცავად შექმნილი მოქალაქეთა დამოუკიდებელი გაერთიანებებია.<sup>5</sup>

ეს მხოლოდ ტერმინოლოგიური საკითხი არ არის და უფრო ფართო და მნიშვნელოვან პრობლემას უკავშირდება: უნდა მივიჩნიოთ თუ არა ალნ ჯგუფები სოციალური და პოლიტიკური პროცესების „ნორმალურ“, ლეგიტიმურ ნაწილად, თუ დემოკრატიულმა სახელმწიფომ თავად მათი არსებობა შემოფოტების საგნად უნდა აქციოს და მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები მიიღოს?

მრავალფეროვნება, მათ შორის მსოფლმხედველობრივი ნიშნით, სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერის და სიმდიდრის ნიშანია. იმისდა მიუხედავად, მოგვწონს თუ არა მოცემული გაერთიანების დღის წესრიგი, მას სრული უფლება აქვს, სამოქალაქო სივრცეში იმოქმედოს, თუ მისი საქმიანობა კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში ჯდება. გამოკითხული ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა ამ აზრს ეთანხმება.

ამავე დროს, არსებობს „წითელი ხაზები“, რომელთა გადაკვეთაც საფუძველს გვაძლევს, ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ალნ ჯგუფების (ან ზოგიერთი მათგანის), როგორც სამოქალაქო საზოგადოების ლეგიტიმური ნაწილის, სტატუსი. ყველაზე მნიშვნელოვანი მათი მხრიდან ოპონენტების მიმართ ძალადობრივი მეთოდების, ძალადობის მუქარის ან ძალადობისკენ მოწოდების გამოყენებაა. თუმცა ალნ დღის წესრიგის დაცვა თავისთავად არ მოითხოვს ასეთ მეთოდებს, ზოგი მათგანი რეგულარულად მიმართავს ფიზიკური ძალადობის მუქარას, ხანდახან კი ძალადობასაც; სხვები თითქმის არასოდეს გმობენ ასეთი მეთოდების გამოყენებას თანამოაზრეთა მხრიდან.

„წითელი ხაზის“ გადაკვეთად შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტობრივი ტყუილის, ე.წ. „ფეიკ-ნიუსების“ სისტემური და გამიზნული გავრცელება. ავტორიტარული ქვეყნების პროპაგანდისტული კამპანიებისთვის დამახასიათებელი ეს ხერხი სამოქალაქო საზოგადოების მინიმალურ სტანდარტებს არღვევს.

საკითხს უფრო ფართოდ რომ შევხედოთ, სამოქალაქო საზოგადოების არსებობას სჭირდება გარკვეული პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემო, რომელიც სამართლის უზენაესობას, პლურალიზმის მიძღვრულობას, ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპებს ეფუძნება. თუ ალნ ჯგუფები მეტისმეტად გაძლიერდა, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას იმ გარემოს შენარჩუნებას, რაც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონისთვის.

ამის გამო, ალნ ჯგუფების მიმართ ხანდახან იყენებენ ტერმინს „არასამოქალაქო საზოგადოება.“<sup>6</sup> ამაში იგულისხმება, რომ თუმცა ისინი სამოქალაქო საზოგადოების ძირითად ნიშნებს ატარებენ, მათი ქმედებების შინაარსი ამ სტატუსს ეწინააღმდეგება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ლიბერალიზმის ნებისმიერი კრიტიკოსი, ვინც „ნატივისტურ“ შეხედულებებს გამოთქვამს, ამის გამო სამოქალაქო საზოგადოებიდან უნდა გამოვრიცხოთ.

მათი ხილვადობის და გავლენის ზრდაზე (რაც არ გამორიცხავს, რომ ამ ორიენტაციის ჯგუფები მანამდეც არსებობდა).

გაცილებით უფრო რთულია შევაფასოთ ბოლო ორი ან სამი წლის დინამიკა: ძნელია ვამტკიცოთ, რომ ამ უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მათი აქტივობა და გავლენა იზრდება, მცირდება თუ იმავე დონეზე რჩება.

აღნიშნულ პერიოდში გაძლიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო ინდიკატორია ის, რომ 2016 წლის არჩევნებში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ შეძლო გადაეღობა ხუთპროცენტული ბარიერი და საქართველოს პარლამენტში საკუთარი ფრაქცია შეექმნა. ის მას შემდეგაც ინარჩუნებს მხარდაჭერის მსგავს დონეს.<sup>7</sup> ეს პარტია 2012 წლის დეკემბერში (ანუ ხელისუფლების შეცვლიდან მოკლე ხანში) შეიქმნა და თანდათან აღნიშნული პოლიტიკურ ფლანგზე წამყვანი ადგილი დაიკავებდა. მან, ამ მხრივ, შეაფერხა ნინო ბურჯანაძის 2008 წელს შექმნილი „დემოკრატიული მოძრაობა“, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ბოლო პერიოდში პრორუსული და ანტილიბერალური ძალების ფლანგმანად ითვლებოდა. ამ პარტიამ საარჩევნო წარმატებას ვერ მიაღწია, თუმცა ერთ-ერთ ცნობად ძალად დარჩა.

ექსპერტების აზრით, აღნიშნული მიმართულება თვალსაჩინოდ გაძლიერდა ქართულ მედიაშიც. ბეჭდვით მედიაში ამ მიმართულების ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელად ითვლება გაზეთი „საქავალ-დასავალი“, რომელიც 1990-იანი წლებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემაა.<sup>8</sup> მაგრამ ბოლო წლებში აღნიშნული მიმართულება გაცილებით უფრო გაძლიერდა ელექტრონულ და ინტერნეტ-მედიაში. გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობის თვალში მათ, პირველ რიგში, განასახიერებს პატრიოტთა ალიანსთან ასოცირებული ტელე- და რადიოკომპანია „ობიექტივი“ (ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი „ობიექტივის“ თანამფლობელია). მან მათი მუშაობის ლიცენზია 2013 წელს მოიპოვა.<sup>9</sup> გარდა ამისა, 2012 წლის შემდეგ გაჩნდა აღნიშნული მიმართულების მრავალი საინფორმაციო სააგენტო და ინტერნეტ-გამოცემა.

აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა აღნიშნული მიმართულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათგან ყველაზე ცნობადია 2017 წელს დაფუძნებული „ქართული მარში“.<sup>10</sup> ამ მიმართულების ორგანიზაციები მანამდეც არსებობდა – მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ (დაარსებულია 1995 წელს),<sup>11</sup> მაგრამ, ექსპერტთა აზრით, დღევანდელი მდგომარეობით ასეთ ორგანიზაციათა სიმრავლე, ხილვადობა, მოქმედების მასშტაბი და გავლენა თვალსაჩინოდ გაზრდილია 1900-იან ან 2000-იან წლებთან შედარებით. ამის ირრები ინდიკატორია ისიც, რომ მათ მიმართ მკვლევართა ყურადღება ასეთი მაღალი არასოდეს ყოფილა.

აღნიშნული ჯგუფების გაძლიერების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზებია წარმოდგენები რეგიონში ძალაუფლების ბალანსის შეცვლაზე დასავლეთსა და რუსეთს შორის, რეაქცია საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების მოდერნიზაციის და ვესტერნიზაციის პროცესებზე და სახელისუფლებო პოლიტიკა 2012 წლის შემდეგ.

## 2. მიზეზები

ამ ნაწილში განვიხილავთ წარმოდგენებს იმაზე, თუ რამ გამოიწვია ბოლო წლებში აღნიშნული ძალების გაძლიერება საქართველოში. თავიდან ამ ტენდენციას შევადარებთ ანალოგიურ პროცესებს დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში, შემდეგ კი განვიხილავთ საკუთრივ საქართველოში მოქმედ ფაქტორებს.

*გლობალური ფონი: მოძრაობები იდენტობის დასაცავად და რუსეთის „ბასრი ძალა“*

ამჟამად, რომ აღნიშნული დისკურსის და აქტივობის გაძლიერება გლობალური ფენომენია და, ამ მხრივ, საქართველო გლობალური ტენდენციის ნაწილია. ამავე დროს, გამოკითხული ექსპერტების უმრავლესობა ვერ ხედავს ან ნაკლებად ხედავს პირდაპირ კავშირებს ქართულ აღნიშნულ ჯგუფებს და მათ დასავლელ ანალოგებს შორის.<sup>12</sup> რაც შეეხება იმას, რამდენად მსგავსია მიზეზები, რაც განაპირობებს ამ ტენდენციას დასავლეთში და საქართველოში, ამაზე ექსპერტებს შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. 59% დაეთანხმა, რომ „საქართველოში აღნიშნული ჯგუფების გაძლიერების მიზეზები ნაწილობრივ მსგავსია იმისა, რაც ევროპის ქვეყნებშია“, თუმცა მხოლოდ 7% პროცენტმა მიიჩნია, რომ ეს მიზეზები მთლიანობაში მსგავსია (სიტყვა „ნაწილობრივის“ გარეშე). 27%-ის აზრით, მსგავსება მხოლოდ გარეგნულია.

უფრო კონკრეტულად დავსვათ კითხვა: რა შეიძლება იყოს ის საერთო ან მსგავსი მიზეზები, რომლებმაც დასავლურ დემოკრატიებშიც და საქართველოშიც აღნიშნული ძალების გაძლიერებას შეუწყო ხელი?

დასავლეთში ნეიტევისტური პოპულიზმის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ავტორები ასახელებენ უკუერეკციას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გლობალიზაციაზე, რომელმაც საზოგადოებების გარკვეულ სეგმენტებში კულტურული იდენტობის და ეროვნული თავისთავადობის შესაძლო გათქვეფის, კონკრეტული საზოგადოებების მიერ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის დაკარგვის განცდა გამოიწვია.<sup>13</sup> აღნიშნული ჯგუფები სწორედ ამ განცდაზე აპელირებენ. სხვა საკითხია, რამდენად არსებობს ასეთი შიშის ობიექტური

საფუძველი, მაგრამ მსგავსი განცდის არსებობაზე დასავლეთშიც და საქართველოშიც შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

მეორე ფაქტორი რუსეთის გააქტიურებას შეიძლება უკავშირდებოდეს. თუ ცივი ომის შემდგომი პერიოდი გლობალურ დონეზე დასავლეთის დომინირებით და მის მიერ ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების მხარდაჭერით აღინიშნა, ახალ ვითარებაში ტენდენცია ნაწილობრივ შეიცვალა – ჩინეთი და, განსაკუთრებით, რუსეთი გამიზნულად და აგრესიულად ახდენენ დასავლეთის „რბილი ძალის“ ტექნიკის მიბაძვას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ამერიკასა და ევროპაში თავისი მიზნების მისაღწევად. სინამდვილეში, მათი მეთოდები მხოლოდ გარეგნულად გავს დასავლეთის „რბილ ძალას“, როგორც ის ჯოზეფ ნაიმ თავდაპირველად განსაზღვრა<sup>14</sup> – ჩვენი აზრით, მათი უფრო ზუსტი დახასიათებაა „ბასრი ძალა“ (sharp power),<sup>15</sup> თუმცა ზოგი მკვლევარი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „ჭკვიანური ძალა“ (smart power).<sup>16</sup> ამგვარი ქმედებების ნაწილია აღნიშნულ პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერა (მათ შორის – ფინანსებით) და აქტიური გლობალური საინფორმაციო პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ზოგადი მიზანი დასავლეთის და, კერძოდ, ლიბერალური დემოკრატიის ნორმების და ინსტიტუტების დისკრედიტაცია და დასუსტებაა, ხშირად – გამიზნულად ყალბი ინფორმაციის გავრცელებით. ამჟამად, რომ ეს ფაქტორი დასავლეთშიც მოქმედებს და საქართველოშიც (თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში რუსეთის აქტივობა გაცილებით უფრო აქტუალურია, ვიდრე ჩინეთისა).

თუმცა რუსეთის მხარდაჭერის ფაქტი აღნიშნული მიმართ ფართოდ არის აღიარებული, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აღნიშნული არსებობა რუსეთზე დამოკიდებული: რუსეთი ხელს უწყობს და, შესაძლოა, რაღაც ზომით აძლიერებს შიდა ფაქტორებზე დამყარებულ ტენდენციებს. თუ ვეცდებით დავაკონკრეტოთ ძირითადი მიზეზები, რაც აღნიშნულ განწყობების ქვაკუთხედს – იდენტობის და კონტროლის დაკარგვის შიშს – განაპირობებს, დავინახავთ, რომ დასავლეთის ქვეყნების და საქართველოს ვითარებებს შორის მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება. დასავლეთში ნეიტრალური რეაქციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ითვლება მასობრივი მიგრაცია ღარიბი და კულტურულად უცხო, განსაკუთრებით მუსლიმური, ქვეყნიდან. ასეთი მიგრაცია დასავლეთის ქვეყნებს აიძულებს გაზარდოს ხარჯები სოციალურ სერვისებზე (რაც მკვიდრ მოსახლეობას აკლდება) და, ბევრის აზრით, ნეგატიურად მოქმედებს შრომის ბაზრის გარკვეულ სექტორებზე, კერძოდ, ამცირებს დაბალკვალიფიკაციანი შრომის გასამრჯელოს, რაც მიმდები ქვეყნის მუშათა კლასზე აისახება (სწორედ ეს ფენა გახდა აღნიშნულების და ორგანიზაციების მთავარი მხარდამჭერი). გარდა ამისა, მასობრივი მიგრაცია საფრთხეს უქმნის დასავლური ქვეყნების კულტურას და ცხოვრების წესს და აუარესებს

კრიმინოგენულ სიტუაციას – ან არსებობს აღქმა, რომ მას ასეთი შედეგები მოაქვს.<sup>17</sup>

საქართველოს შემთხვევაში ეს ფაქტორი არ მუშაობს. საქართველო მასობრივი ემიგრაციის და არა იმიგრაციის ქვეყანაა;<sup>18</sup> იმიგრანტთა რაოდენობა ძალიან მცირეა და მათ ქართული სოციალური სერვისები ვერ მიიზიდავს, რადგან საქართველოს სახელმწიფო ლტოლვილთა დახმარებაზე<sup>19</sup> თანხებს, პრაქტიკულად, არ ხარჯავს. საერთაშორისო მიგრაციის პიკურ, 2016 წელსაც კი საქართველო ჰიპოთეტურადაც კი არ განიხილებოდა მიგრაციული ნაკადების სამიზნედ. საქართველოში ბოლო ათწლეულში მკვეთრად გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა, მაგრამ ტურიზმი ქვეყნისთვის შემოსავლების წყაროა და არა გასავლის. ასევე, ქვეყნისთვის შემოსავლის წყაროა უცხოური ინვესტიციები.

საქართველოში მოქმედი აღნიშნულ პირობების მხრიდან პროტესტის სამიზნე ხანდახან ხდება ბიზნესები, რომელთაც ისლამური ქვეყნების (თურქეთის, ირანის, არაბული ქვეყნების) წარმომადგენლები ხსნიან და, ძირითადად, ამ ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტების მომსახურებაზეა გათვლილი.<sup>20</sup> ეს მაგალითიც გვიჩვენებს, რომ მსგავსება დასავლური ქვეყნების რეალობასთან უფრო ფსიქოლოგიური და სიმბოლურია (კულტურულად „უცხო“ ელემენტი უფრო თვალსაჩინოა გახდა).

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც დასავლეთში ნაციონალისტურ პოპულიზმს კვებავს, არის პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ გლობალიზაციის პროცესში დასავლური კაპიტალის გადინება ხდება შედარებით ღარიბ ქვეყნებში, რაც სამუშაო ადგილების გადინებასაც ნიშნავს; ესეც დასავლური ქვეყნების მუშათა კლასის ეკონომიკურ სიტუაციას აუარესებს.<sup>21</sup> ეს ვითარებაც ძალზე ძნელია საქართველოზე გავარცხლოთ: ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური წარმატების იმედს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე აგებს და არა ქართული კაპიტალის გარეთ დაბანდებაზე.

დასავლეთში ნაციონალისტური პოპულიზმის გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე დემოკრატიული პოლიტიკური კონტროლის დაკარგვის შიში: გადაწყვეტილების მიღებაში მცირდება ერი-სახელმწიფოს როლი, რომელიც ანგარიშვალდებულია საკუთარი მოქალაქეების წინაშე, და მეტი ფუნქცია ენიჭება გლობალურ ან რეგიონულ ორგანიზაციებს, რომლებზეც დემოკრატიული ანგარიშვალდებულების მოთხოვნები ნაკლებად ვრცელდება. მაგალითად, ეს მოტივი მეტად მნიშვნელოვანი იყო ბრექსიტის (დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის) გადაწყვეტილების მიღების პროცესში.<sup>22</sup> ნაწილობრივ, ეს ფაქტორი ქართველი ნეიტრალისტებისთვისაც მუშაობს: ისინი გამოთქვამენ წუხილს, რომ ევროკავშირი თავს ახვევს საქართველოს უმცირესობათა (განსაკუთრებით, საქსუალურ უმცირესობათა) დაც-



ვის ნორმებს და სხვა ლიბერალურ პრინციპებს. თუმცა, ობიექტურად საქართველოს ნაკლები საფუძველი აქვს, ევროკავშირის დომინანტი როლისა ემინოდეს, რადგან ის არც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო ან კანდიდატი სახელმწიფო არ არის და არც ევროკავშირის ნორმების დაცვის ფორმალური ვალდებულება აქვს. აქ პირიქითაა საქმე: საქართველოს პრეტენზია როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს მიმართ ისაა, რომ ეს ორგანიზაციები მას გაწევრიანებაზე უარს ეუბნებიან. აღნიშნული ხშირად მანიპულირებენ კიდევ იმ ფაქტით, რომ დასავლეთი, სინამდვილეში, გულგრილია საქართველოს მიმართ.<sup>23</sup> ამრიგად, ამ მხრივაც, საქართველო და დასავლეთის ქვეყნები არსებითად განსხვავებულ მდგომარეობაში არიან.

*რამდენად ხსნის აღნიშნული ჯგუფების გაძლიერებას საქართველოში რუსეთის ფაქტორი?*

როგორც დავინახეთ, ჩვენს თემასთან მიმართებაში არსებობს მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფაქტორი, რომელიც როგორც დასავლეთის განვითარებული დემოკრატიების, ისე საქართველოს მიმართ მოქმედებს: ესაა აღნიშნული მხარდაჭერა რუსეთის მიერ. დასავლეთის ქვეყნებში რუსეთის ასეთ საქმიანობაზე საკმაოდ ბევრი კვლევა არსებობს,<sup>24</sup> რუსეთის ფაქტორის მნიშვნელობას ხაზს უსვამენ ზემოთ დასახელებული ქართველი ავტორებიც.

მაგრამ რამდენად ძლიერი, გადამწყვეტია ეს ფაქტორი? შეიძლება რუსეთის მიერ მისი მხარდაჭერა საქართველოში (ან დასავლეთში) აღნიშნული ჯგუფების გააქტიურების ძირითად მიზეზად ჩავთვალოთ, თუ რუსეთი ცდილობს გააძლიეროს ტენდენცია, რომელიც მისი ჩარევის გარეშე იარსებებდა?

საქართველოში აღნიშნული ჯგუფების რუსეთთან კავშირის ბევრი თავისთავად ცხადად მიიჩნევა. ეს განწყობა რაოდენობრივად კვლევაშიც დადასტურდა. გამოკითხულ ექსპერტთა აბსოლუტური უმრავლესობა, 97%, ეთანხმება, რომ რუსეთის მხარდაჭერა ქვეყანაში აღნიშნული ჯგუფების გაძლიერების ერთ-ერთი მიზეზია (67% ამას სრულად ეთანხმება, 30% კი – ნაწილობრივ). თუმცა, შეკითხვაზე, უნდა განვიხილოთ თუ არა ეს ჯგუფები „პრორუსულ ძალად“, პასუხები უფრო მრავალფეროვანია: 33% მათ ცალსახად პრორუსულ ძალად მიიჩნევს, 14% თვლის, რომ ისინი პრორუსული არ არის, თუმცა მათი გზავნილები ემთხვევა რუსული პროპაგანდის გზავნილებს, ხოლო ყველაზე დიდი ნაწილი – 48% ვარაუდობს, რომ მათი ნაწილი პრორუსულია, თუმცა არ ავლენს ამას, რადგან საქართველოში ასეთი პოზიცია არაპოპულარულია. რაოდენობრივ გამოკვლევაში მონაწილე მხოლოდ ერთმა ექსპერტმა ჩათვალა, რომ მათ პრორუსულობაზე ლაპარაკი შეცდომაა.

უშუალოდ აღნიშნული ჯგუფების მკვლევართა შორის წარმოდგენა აღნიშნული ჯგუფების პრორუსულ ხასიათ-

ზე ცალსახად გაზიარებული არ არის. მაგალითად, CRRC – Georgia-მ ფართო ემპირიული კვლევის საფუძველზე დაასკვნა, რომ ამ ჯგუფების უმრავლესობას ან დიდ ნაწილს „პრორუსულს“ ვერ ვუწოდებთ და მათი ამ ნიშნით ერთ ქვაბში მოხარშვა შეცდომაა. მათი რიტორიკა რუსეთის მიმართ ძირითადად ნეგატიურია. მაგრამ როცა საქმე შეეხება ლიბერალური ღირებულებების და საქართველოში დასავლეთის როლის შეფასებას, მათი აზრითაც, ამ ჯგუფების და რუსეთის პროპაგანდის გზავნილების მსგავსება აშკარაა.<sup>25</sup>

ამ კონტექსტში ბუნებრივია დავსვათ კითხვა, კონკრეტულად როგორ უნდა განვსაზღვროთ ტერმინი „პრორუსული“. თუ მას გავიგებთ როგორც რუსეთის პოლიტიკის ან რუსეთთან საქართველოს დაახლოების მხარდაჭერას, მაშინ შედარებით მცირე იქნება ისეთი ჯგუფების რაოდენობა, ვისაც შეიძლება აშკარად „პრორუსული“ ვუწოდოთ (თუმცა ასეთებიც არსებობს – მაგალითად, ექსპერტები ასახელებენ პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ცენტრს<sup>26</sup> და სხვა ორგანიზაციებს). ამ მხრივ, არსებითი განსხვავებაა ევროპის ზოგი ულტრამემარჯვენე პარტიისგან, რომლებიც დიად და საჯაროდ ასწამენ ხოტბას პუტინის პოლიტიკას და მას საკუთარი ქვეყნებისთვის სანიმუშოდ მიიჩნევენ.<sup>27</sup> როგორც დავინახეთ, ქართული აღნიშნული ჯგუფების თავშეკავება რუსეთის ღია მხარდაჭერისგან შეიძლება ტაქტიკური მოსაზრებებით აიხსნას: ასეთი მხარდაჭერა საქართველოში მეტად არაპოპულარულია. მათ ურჩევნიათ, „რუსეთის საქმე“ ირიბად, დასავლეთის დისკრედიტაციის გზით გააკეთონ. ეს ვარაუდი სავსებით ლოგიკურია, თუმცა მისი დამტკიცება კონკრეტულ ჯგუფებთან თუ ინდივიდებთან მიმართებაში მეტად ძნელია.

უფრო პროდუქტიულია, არა ცალკეული აქტორების გულწრფელობაზე, არამედ მათი ქმედებების ობიექტური შედეგების შეფასებაზე გავაკეთოთ აქცენტი. თუ ასე მოვიქცევით, ტერმინი „პრორუსული“ უფრო ფართო აზრით შეიძლება გავიგოთ: ასეთია ქმედება, რაც რუსეთის საქართველოში პოლიტიკურ მიზნებს შეესაბამება. რუსეთისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა საქართველოში საკუთარი იმიჯის ზოგადი გაუმჯობესება და მისი პოლიტიკის პირდაპირი მხარდაჭერის გაფართოება. მაგრამ დღეს, საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტის ოკუპაციის პირობებში, ასეთ პროექტს წარმატების შანსი ვერ ექნება. შედარებით უფრო რეალისტურია საქართველოში დასავლეთის დისკრედიტაცია, მისი, როგორც საქართველოსთვის სახიფათო ძალის წარმოჩენა, ევროპული და ევროატლანტიკური ორიენტაციის სიმცდარის ან უპერსპექტივობის პროპაგანდა. ამას, წარმატების შემთხვევაში, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის შერყევა და, შესაბამისად, დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის შესუსტება შეიძლება მოჰყვეს, რაც რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებს შეესაბამება.

თუ საქართველოს დასავლეთის მხარდაჭერა არ ექნა, რუსეთისთვის გაცილებით ადვილი იქნება ამ ქვეყნის საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ნებისმიერი ინდივიდი თუ ჯგუფი, რომელიც გამოკვეთილად ეწინააღმდეგება დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკას და იმ ღირებულებებს, რაც ამ პოლიტიკის საფუძველში დევს, შეიძლება თავისი ქმედებების შედეგებით „პრორუსულად“ მივიჩნიოთ, იმისდა მიუხედავად, რა სუბიექტური განწყობები აქვთ მას რუსეთის მიმართ. რაც არ გამორიცხავს, რომ, ამავე დროს, მხედველობაში მივიღოთ განსხვავება ღიად თუ ირიბად პრორუსულ ძალებს შორის.

ამ მსჯელობიდან ვერ დავასკვნით, რომ რუსეთი უშუალოდ ეხმარება ამ ჯგუფებს (ამაში, პირველ რიგში, ფინანსური დახმარება იგულისხმება), ან რომ ასეთი დახმარება ერთ-ერთი ან, მით უმეტეს, ძირითადი მიზეზია, რის გამოც ისინი სწორედ ბოლო ათწლეულში გაძლიერდნენ და გააქტიურდნენ. ამ შემთხვევაში, დიდწილად, ვარაუდების სფეროში ვრჩებით. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აღნიშნული განწყობები საქართველოში (ისევე როგორც სხვა ქვეყნებში) რუსეთის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე არსებობდა და იარსებებდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ მათი გაძლიერების და უფრო ორგანიზებულად გამოსატყვის ტენდენცია ემთხვევა ანალოგიურ პროცესებს სხვა ქვეყნებში, სადაც რუსეთის მხრიდან მათი წახალისება უდავოდ არის დამტკიცებული,<sup>28</sup> გვაიძულებს, სერიოზულად განვიხილოთ ვერსია, რომ რუსეთი ასეთ დახმარებას საქართველოში მოქმედ ჯგუფებსაც უწევს.

რუსეთის ამგვარი ქმედებების მკვლევარი ანტონ შეხოვცოვი ამტკიცებს, რომ „იმისათვის, რომ შეეფერხებინა თავისი სამეზობლოს (near abroad) ზოგი ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მცდელობები, დასავლეთს დაახლოებდნენ, მოსკოვმა ე. წ. „აქტიური ღონისძიებების (active measures, активные мероприятия) საბჭოური გამოცდილება გამოიყენა“.<sup>29</sup> „აქტიური ღონისძიებების“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შექმნა საკუთარი ფარული მომხრეების ქსელი, რომლის ძირითადი მიზანია არა სადაზვერვო ინფორმაციის მოგროვება, არამედ გავლენის მოხდენა მოცემული ქვეყნის პოლიტიკასა და სოციალურ პროცესებზე. მისი აზრითაც, არაა აუცილებელი, ასეთი აქტორები რუსეთის მხარდაჭერას აშკარად გამოთქვამდნენ: საკმარისია, ისინი ავრცელებდნენ გზავნილებს, რაც მომგებიანია რუსეთის პოლიტიკისთვის. აქედან გამომდინარე, ის უდავო ფაქტი, რომ მათი გზავნილები ზოგადად ემთხვევა ან ძალიან ახლოსაა რუსეთის პროპაგანდისტული მანქანის გზავნილებთან, აძლიერებს იმ ვარაუდს, რომ ასეთ ორგანიზაციათა რაღაც ნაწილი მაინც უშუალოდ არის დაკავშირებული რუსეთის სპეცსამსახურებთან.

ცხადია, ამ ზოგადი დებულებიდან შეუძლებელია ცალსახად გამოვიყვანოთ, თუ კონკრეტულად რომელი ინდივიდი თუ ორგანიზაცია მონაწილეობს შეგნებულად რუსეთის „აქტიურ ღონისძიებებში“, და ვინ არის ის, ვინც ანალოგიურ ქმედებებს საკუთარი მრწამსით და სურვილით ახორციელებს. რუსეთთან შესაძლო კავშირის შემთხვევაშიც არაა აუცილებელი, ჩავთვალოთ, რომ ინდივიდს ან ჯგუფს მხოლოდ რუსეთის „დაკვეთა“ ამოძრავებს: უმეტეს შემთხვევაში, საბჭოთა და რუსეთის სპეცსამსახურები უფრო წარმატებით თანამშრომლობდნენ ისეთ აქტორებთან, ვინც თავისი მსოფლმხედველობით უპირისპირდებოდა მათ მტრებს (ანუ ამერიკას და ევროპას).

ყოველივე ზემონათქვამი საშუალებას არ გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ რუსეთის დახმარება აღნიშნული ჯგუფების არსებობის ან გააქტიურების ძირითადი მიზეზია. შეგვიძლია თამამად ვამტკიცოთ, რომ ისინი რუსეთის მხარდაჭერის გარეშე იარსებებდნენ, თუმცა, შესაძლოა, ნაკლები მასშტაბით და რესურსებით. არ შეგვიძლია იმის გაზომვა, რუსეთი კონკრეტულად რამდენად აძლიერებს აღნიშნულ ჯგუფებს, ან კონკრეტულად როგორი იქნებოდა მათი ძალა და გავლენა ამ ფაქტორის გარეშე. გაცილებით მნიშვნელოვანია ის ფართოდ გაზიარებული შეფასება, რომ, როგორც არ უნდა იყოს აღნიშნული ჯგუფების კავშირები რუსეთთან, მათი საქმიანობა, უმეტესწილად, თანხმობაშია საქართველოში რუსეთის ინტერესებთან.

ახლა გადავიდეთ ზოგი აღნიშნული ჯგუფების გააქტიურების ფაქტორების გამოკვლევაზე, რაც უშუალოდ ქართული საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების დინამიკას უკავშირდება.

*წარმოდგენები რეგიონული ძალთა ბალანსის ცვლილებაზე*

ჩვენი აზრით, აღნიშნული ჯგუფების გაძლიერებას ხელი შეუწყო წარმოდგენამ რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილებაზე, სახელდობრ, რუსეთის გაძლიერებასა და დასავლეთის დასუსტებაზე. თუმცა, რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხულმა ექსპერტებმა მხოლოდ ნაწილობრივ დაუჭირეს მხარი მოსაზრებას, რომ აღნიშნული ჯგუფების გაძლიერების მიზეზია „დასავლეთის დასუსტება რეგიონსა და მსოფლიოში“: 12.7% სრულად დაეთანხმა ამ მოსაზრებას, 37.3% – ნაწილობრივ, ხოლო 44.1% არ დაეთანხმა.

კომუნისტური სისტემის დაშლის და ცივი ომის დასრულების შემდგომი პერიოდი (1989 წლიდან დაახლოებით 2000-იანების შუახანებამდე) გლობალურ ასპარეზზე დასავლეთის და მისი ფლაგმანის – ამერიკის შეერთებული შტატების – უპირობო დომინირებით აღინიშნებოდა.<sup>30</sup> მაგრამ რიგმა მოვლენებმა: დასავლეთის შიგნით აზრთა მკვეთრმა დაპირისპირებამ ერაყში ამერიკის სამ-

ხედრო ინტერვენციის გამო, თვით ამ ინტერვენციის შეფარდებითა წარუმატებლობამ, ამერიკის და ევროკავშირის ეკონომიკის წილის შემცირებამ მსოფლიო ეკონომიკაში ჩინეთის აღზევების ფონზე, 2008 წლის მძაფრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, დასავლეთის არცთუ ეფექტურმა პასუხმა ჯერ რადიკალური ისლამის ტერორისტულ გამოწვევებზე, შემდეგ კი რუსეთის აგრესიული რევიზიონისტული პოლიტიკის გამოვლინებებზე შექმნა შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი სუსტდება და ძალაუფლების ბალანსი ავტორიტარული ძალების, ჩინეთის და რუსეთის, სასარგებლოდ იცვლება.<sup>31</sup> ამ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს თავისი ღირებულებებით მდგენელიც აქვს: რაკი ლიბერალური იდეოლოგიის ზეობა მეორე მსოფლიო ომის და, შემდეგ, ცივი ომის დასრულების შემდეგ დიდწილად დასავლეთის გავლენასთან იყო დაკავშირებული,<sup>32</sup> მისმა რეალურმა თუ წარმოსახვითმა დასუსტებამ მთელ მსოფლიოში ანტილიბერალური და, ამავე დროს, ანტიდასავლური ძალები უფრო გაათამაშა. ამ ფონზე უფრო ადვილი გახდა რიგითი მოქალაქეების ნაწილის დარწმუნება, რომ დასავლური ინსტიტუტები ნაკლებ ძლიერია, ვიდრე მათ ადრე ეგონათ და, შესაბამისად, დასავლეთზე და დასავლურ ღირებულებებზე ორიენტაცია შეიძლება გონივრული პოლიტიკა არ იყოს.

ეს ცვლილებები საქართველოსაც პირდაპირ შეეხო. ბუქარესტის 2008-ს სამიტზე ნატო-ს უარმა, საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმა შეეთავაზებინა (რაც რუსეთისთვის ანგარიშის გაწევის ფაქტორით იყო გაპირობებული), ასევე, დასავლეთის შედარებით სუსტმა რეაქციამ რუსეთის 2008 წლის სამხედრო ინტერვენციაზე საქართველოში შექმნა შთაბეჭდილება, რომ დემოკრატიული დასავლეთი უკან იხევს რუსეთთან მიმართებაში.<sup>33</sup> ეს შთაბეჭდილება შეიძლება გაზვიადებული ყოფილიყო: დასავლეთის რეაქცია რომ არა, აგვისტოს ომის შედეგები საქართველოსთვის გაცილებით უფრო სავალალო იქნებოდა. მაგრამ ბევრმა (არა მხოლოდ საქართველოში) ვითარება ისე აღიქვა, რომ დასავლეთმა თავისი მოკავშირე ვერ დაიცვა რუსეთის აგრესიისგან.<sup>34</sup> ეს აღქმა გაღრმავდა 2014 წელს, როდესაც რუსეთმა ანალოგიური ქმედებები განახორციელა უკრაინაში და ამისთვის სერიოზული პოლიტიკური ფასი არ გადაუხდია (უკრაინაში განხორციელებული აგრესიის საპასუხოდ რუსეთის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციები მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი არ არის, რომ რუსეთი აიძულოს, პოლიტიკა არსებითად შეცვალოს<sup>35</sup>). ამის ფონზე ზოგიერთ ადამიანს შეიძლება შექმნიდა წარმოდგენა, რომ რეგიონში პოლიტიკური ინიციატივა რუსეთის მხარეზე გადადის და დასავლეთი ამას ფაქტობრივად ეგუება. აშშ პრეზიდენტ ბარაკ ობამას რუსეთთან „გადატვირთვის პოლიტიკა“ და მისი ადმინისტრაციის მხრიდან პოსტკომუნისტური რეგიონის მიმართ ყურადღების შესუსტება კიდევ უფრო აძლიერებდა ამ განცდას, რასაც მისი მემკვიდრის, დონალდ ტრამპის, მეტად არათან-

მიმდევრული პოლიტიკა და რიტორიკა დაერთო. ევროკავშირის შეფარდებით გააქტიურება რეგიონში „ევროპული პარტნიორობის“ ინსტრუმენტის შექმნის შემდეგ პოზიტიური ფაქტი იყო, მაგრამ ამერიკის უკანდახვევის კომპენსაციას ვერ ახდენდა – ან ბევრის თვალში ვერ ახდენდა.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს შეიძლება სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდეთ იმაზე, რეალურად როგორ შეიცვალა თანაფარდობა რუსეთის და დასავლეთის გავლენებს შორის საქართველოს სამეზობლოში. აქ ამ დისკუსიაში ჩართვას არ ვაპირებთ. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტორების მხრიდან ამ ცვლილებების შესაძლო აღქმა გვინტერესებს. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ადამიანთა რაღაც ნაწილს შეექმნა წარმოდგენა, რომ დასავლეთზე ორიენტაცია საქართველოს უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს და რუსეთის მიმართ დათმობების გზა უფრო პერსპექტიულია. ამ პერიოდში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ორმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდიშვილმა და ყოფილმა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ოპოზიციაში გადაინაცვლეს და, ერთმანეთისგან და საქართველოს ხელისუფლებისან დამოუკიდებლად, რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან ვიზიტები განახორციელეს. ამით მათ ჩრდილოელი მეზობლის მიმართ ალტერნატიული პოლიტიკისკენ მზაობის დემონსტრირება მოახდინეს<sup>36</sup> და დაარღვიეს ერთგარი არაფორმალური ტაბუ, რაც ქართულ პოლიტიკაში რუსეთზე ღია ორიენტაციის მიმართ არსებობდა.

ეს ნაბიჯები მხოლოდ უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილების შესაძლებლობას არ მოასწავებდა. საქართველოში (ისევე, როგორც ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში) საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ხშირად კორელაციაშია ღირებულებებით პრიორიტეტებთან.<sup>37</sup> მაგალითად, მას შემდეგ, რაც ხსენებულმა ნინო ბურჯანაძემ 180 გრადუსით შეცვალა პოზიცია და ნატოს წევრობაზე ორიენტაცია ქვეყნისთვის საზიანოდ გამოაცხადა, მან დასავლური ლიბერალური ღირებულებების კრიტიკაც აქტიურად დაიწყო და, ამ მხრივ, რუსულ „მესიჯ-ბოქსზე“ გადაეწყო.<sup>38</sup> თავად რუსეთის მხრიდან დასავლეთის გეოპოლიტიკური ოპონირება განუყოფელია ლიბერალური ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლასთან; ამ მხრივ რუსეთის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ტრადიციას აგრძელებს, ოღონდ, თუ ის მაშინ დასავლურ ლიბერალიზმს კომუნისტური იდეოლოგიის გამოყენებით ებრძოდა, დღეს სოციალური კონსერვატიზმის დამცველად წარმოაჩინეს თავს.<sup>39</sup>

კორელაცია გეოპოლიტიკურ და ღირებულებით – მიმართულებას შორის ორიენტაციებს შორის გვეხმარება იმის ახსნაში, რომ 2008 წელი გამოდგება წყალგამყოფად, როდესაც საქართველოში

ანტიდასავლური, ანტილიბერალური და ღიად თუ შეფარულად პრორუსული ჯგუფების ფუნქციონისთვის ახალი სივრცე შეიქმნა – თუმცა, 2012 წლამდე ის მაინც შეზღუდული რჩებოდა.

*რეაქცია ქართული საზოგადოების ლიბერალიზაციასა და ვესტერნიზაციაზე*

რეგიონულ ძალთა ბალანსზე წარმოდგენების შეცვლას (რუსეთიდან პირდაპირ დახმარებაზე რომ არაფერი ვთქვათ) უფრო ელიტურ მოთამაშეებზე შეეძლო გავლენის მოხდენა. მაგრამ იმის გასაგებად, რატომ უნდა გაზრდილიყო ანტი-დასავლური თუ ანტი-ლიბერალური ხედვების მხარდაჭერა ქართულ საზოგადოებაში, ეს ქვეყნის განვითარების შიდა კანონზომიერებებს უნდა დავეუკავშიროთ.

ასეთად გვესახება ცვლილებები, რაც ქართულმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განიცადა და რასაც შეიძლება ქვეყნის მოდერნიზაცია და/ან ვესტერნიზაცია ვუწოდოთ. საქართველოს პოლიტიკის გაცხადებული მიზანია არა მხოლოდ დასავლეთთან დაახლოება გეოპოლიტიკური აზრით (რისი გამოხატულებაცაა კურსი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე), არამედ სახელმწიფო და ეკონომიკური ინსტიტუტების და, რაღაც ზომით, საზოგადოებრივი ნორმების გარდაქმნა დასავლური მოდელების მიხედვით. ასეთი გარდაქმნები, მით უმეტეს, როდესაც ისინი მოკლე ისტორიულ პერიოდში ხორციელდება, ჩვეული სოციალური ინსტიტუტების დესტაბილიზაციას უწყობს ხელს და მრავალ საზოგადოებაში აღიქმება როგორც ტრადიციული, „მშობლიური“ კულტურის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რასაც უცხო ძალები ან საკუთარი ხალხისგან გაუცხოებული ელიტები ახორციელებენ. შესაბამისად, ის ნეიტრისტურ რეაქციას იწვევს (გავისხენოთ, რომ ამ სიტყვის ძირი, native, “მშობლიურს” ნიშნავს).

გამოკითხული ექსპერტების 73% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ აღნიშნული ჯგუფების გაძლიერება უკავშირდება „რეაქციას საქართველოს მეტ დაახლოებაზე ევროპასთან“, აქედან 28% – სრულად. 20%-მა ეს შეფასება არ გაიზიარა.

ვესტერნიზაციის/ევროპიზაციის პროცესი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იწყება, როდესაც ქვეყნის ახალმა ელიტებმა დასავლური ნორმებზე და ინსტიტუტებზე ზოგადი ორიენტაცია გამოაცხადეს და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადადგეს. ამავე პერიოდში შეიქმნა დასავლელი დონორების დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომელთა მიზანი ქართულ საზოგადოებაში დასავლური ნორმების და ინსტიტუტების დანერგვა იყო. ეს უკანასკნელი გულისხმობდა არა მხოლოდ საარჩევნო დემოკრატიის ზოგადი პრინციპების დამკვიდრებას (რასაც ღიად არავინ ეწინააღმდეგებოდა), არამედ ისეთი

ნორმების შემოღებას, რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდა ტრადიციულ კულტურასთან: მაგალითად, ქალთა ან რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დაცვას. შესაბამისად, 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში გაჩნდა ანტილიბერალური ჯგუფები, რომლებიც რელიგიური უმცირესობების და სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ აგრესიით გამოირჩეოდნენ – ამის მაგალითი იყო მართლმადიდებელი ეკლესიისგან მოკვეთილი ბასილ მკალავიშვილის სექტა, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი და სხვა.<sup>40</sup>

მაგრამ დასავლური მოდელებით შთაგონებული რეფორმების დაჩქარებული და აგრესიული განხორციელება ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდს (2004-12) უკავშირდება. ზოგი კრიტიკოსი ეჭვქვეშ აყენებს ნაციონალური მოძრაობის რეალურ პროდასავლურობას იმის გამო, რომ ის მმართველობის პროცესში ავტორიტარულ ტენდენციებს ავლენდა და დემოკრატიულ ღირებულებებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა – „დასავლურობის“ ძირითადი გამოხატულება კი დემოკრატიია.<sup>41</sup> ამ კრიტიკას საფუძველი აქვს: რეფორმები ზევიდან ქვევით, ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფის შეხედულებებიდან გამომდინარე იწერებოდა და საზოგადოებასთან კონსულტაციას ნაკლებად გულისხმობდა; ამან საზოგადოების ნაწილში გააჩინა აღქმა, რომ ხელისუფლებაში მოსული ძალა ქართულ საზოგადოებას მისთვის უცხო ღირებულებებს და ინსტიტუტებს ძალით ახვევდა თავს. თუმცა, მათი განხორციელების პირველ პერიოდში რეფორმები მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდა.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების აკარგის სხვადასხვა პოლიტიკური შეფასება არ გამორიცხავს იმ რეალობის აღიარებას, რომ ამ პერიოდში ქართული საზოგადოება რეალურად დაუახლოვდა დასავლეთს. შეიქმნა მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული მეტ-ნაკლებად ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტები, აღმოიფხვრა მასობრივი კორუფცია, ცხოვრების მრავალ სფეროში გადაიდგა ნაბიჯები მერიტოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლად, გაცილებით უფრო ლიბერალური გახდა ეკონომიკური გარემო, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ისე მოსახლეობის დონეზე. გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირები დამყარდა დასავლურ ქვეყნებთან. ცხოვრების მრავალ სფეროში წამყვანი ადგილები დაიკავა ახალმა, საბჭოთა ძალაუფლებრივ და ეკონომიკურ ელიტებთან კავშირის არმქონე ელიტამ.<sup>42</sup>

ეს ცვლილებები (რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ძალაუფლებიდან წასვლის შემდეგაც გაგრძელდა) იმასაც ნიშნავს, რომ ახალი თაობის ბევრი წარმომადგენელი, არსებითად, დასავლური დემოკრატიებისთვის დამახასიათებელი სტანდარტებით აფასებს საკუთარი ქვეყნის ინსტიტუტებს და პრაქტიკებს. კერძოდ, დისკურსი (თუ არა რეალობა) ადამიანის უფლებების სფეროში არ-

სებითად დაუახლოვდა დასავლეთის ქვეყნებისას. მაგალითად სექსუალური უმცირესობების მნიშვნელოვან თემას რომ შეეხებოდა, 1990-იან წლებში არ არსებობდა ამ ჯგუფის უფლებების ღია და დაცვის არც ერთი პრეცედენტი და საჯარო სივრცეში არავინ ამხელდა „არატრადიციულ“ სექსუალურ ორიენტაციას; დღეს ეს ჩვეულებრივ ამბად იქცა და დღის წესრიგში „გეი-პრაიდის“ ჩატარების საკითხი დგას – თუმცა რეალურად ეს ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

ეს ყველაფერი მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირებას არ ნიშნავდა: ჟურნალმა „ეკონომისტმა“ ამ ცვლილებათა ერთობლიობა შეაფასა როგორც „რევილუცია აზროვნებაში“<sup>43</sup> რაც საბჭოური მემკვიდრეობის ნამდვილ უარყოფას ნიშნავდა. მაგრამ სოციალურ ცვლილებათა სწორედ ამ რევილუციურ ხასიათს, რაც ასე მომხიბლავი ჩანდა ლიბერალურად განწყობილი დამკვირვებლისთვის, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის გაუცხოების ეფექტი შეიძლება ჰქონოდა, რამაც უკუერექცია გამოიწვია. ბევრმა, განსაკუთრებით (თუმცა არა მხოლოდ) უფროსი თაობის ან საბჭოური განათლების მქონე ადამიანმა (ვინც, პოპულარული გამოთქმით, „ინგლისური და კომპიუტერი“ არ იცოდა) პროცესებისგან გარიყულად, აუთსაიდერად იგრძნო თავი. სააკაშვილის ხელისუფლების საკადრო პოლიტიკამ, რომელიც მრავალ საკვანძო სფეროში ახალგაზრდა და დასავლეთში განათლებამიღებულ ან დასავლურ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ ადამიანებს ანიჭებდა უპირატესობას, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში „ჩარეცხილების“ კომპლექსი გააჩინა.<sup>44</sup>

ამ პროცესებით გამოწვეულ უკმაყოფილებას შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიეღო; მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ალნ განწყობების გავრცელება და ამ ტიპის აქტივიზმის ზრდა მისი გამოხატვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. თუმცა ლიბერალური თუ პროდასავლური ორიენტაციის ადამიანები „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდს მეტად განსხვავებულად აფასებენ, ალნ განწყობის მქონე ადამიანთა თვალში საქართველოს სოციალური ვესტერნიზაცია (რაც მათი პროტესტის ძირითადი სამიზნეა) ყველაზე მეტად ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკასთან ასოცირდება.<sup>45</sup> ეს ვლინდება, კერძოდ, იმაში, რომ ისინი ნაციონალურ მოძრაობას (როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში), როგორც წესი, უპირობო ბოროტებად განიხილავენ, ხოლო „ქართული ოცნება“ გაცილებით უფრო რბილი კრიტიკის საგანი შეიძლება იყოს – უფრო ხშირად იმის გამო, რომ ის საკმარისად მკაცრ პოლიტიკას არ ატარებს ნაციონალური მოძრაობის, როგორც „კრიმინალური ძალის“, წინააღმდეგ და მას საჯარო სივრცეში ოპერირების საშუალებას უტოვებს.<sup>46</sup>

ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი მმართველობის პირველ პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადად-

გა ანტილიბერალური ჯგუფების ძალადობის აღსაკვეთად – მაგალითად, დააბატიმრა რელიგიურ-ექსტრემისტული ჯგუფის ლიდერი ბასილ მკალავიშვილი.<sup>47</sup> ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ბოლო პერიოდში ალნ ჯგუფების ისევე გააქტიურდნენ, მაგრამ, გარკვეულ შემთხვევებში, მათი ძალადობრივი მოქმედებების მიმართ კანონიერი სასჯელი იქნა გამოყენებული.<sup>48</sup> შეიძლება ამ, შედარებით მკაცრ პოლიტიკას მივაწეროთ ის გარემოება, რომ იმ პერიოდში ამ ჯგუფების აქტივობა შეზღუდული იყო და ისინი მხოლოდ ეპიზოდურად ავლენდნენ თავს.<sup>49</sup>

*ქართული ოცნების ხელისუფლება და ალნ ჯგუფები: შეწყობა თუ წაქეზება?*

აღწერილი სოციალური ტრანსფორმაციების გარდა, ალნ ჯგუფების გაძლიერება შეიძლება მათ მიმართ ხელისუფლების შეცვლილ პოლიტიკასაც უკავშირდებოდეს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ექსპერტთა დიდმა ნაწილმა გარდამტეხად დაასახელა 2012 წელი, რაც, ბუნებრივია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას უკავშირდება. რამდენად შეუწყო ხელი ამ შიდა პოლიტიკურმა ცვლილებამ ნაშრომში განხილულ პროცესებს?

თუმცა რაღაც კავშირი აშკარაა, მისი ახსნა შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. თუ ამოვალთ იქიდან, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება წინამორბედზე უფრო დემოკრატიულია (ბუნებრივია, მისი წარმომადგენლები და მომხრეები ასე თვლიან), მაშინ, მისი მმართველობის პერიოდში, ნებისმიერი ორიენტაციის ჯგუფს ეძლევა თავისუფალი მოქმედების საშუალება. ამით, სხვასთან ერთად, ალნ ორიენტაციის აქტორებმაც ისარგებლეს – დღეს ისინი ისევე თავისუფლად მოქმედებენ საქართველოში, როგორც დასავლურ დემოკრატიებში.

შესაძლებელია ალტერნატიული ახსნაც: ხელისუფლება არა მხოლოდ იწყნარებს ალნ ჯგუფებს, არამედ ფარულად მხარს უჭერს კიდევ მათ (ან ზოგიერთ მათგანს), როგორც მოკავშირეებს ოპოზიციის წინააღმდეგ (ოპოზიციაში აქ იგულისხმება როგორც პოლიტიკური პარტიები, ისე საზოგადოებრივი მოძრაობები). სახელისუფლებო პოლიტიკის ცვლილება ორივე შემთხვევაში ალნ ჯგუფების გაძლიერების ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება, თუმცა, თუ მეორე დაშვებას დავიჯერებთ, ამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წონა კიდევ უფრო იზრდება.

გამოკითხული ექსპერტების დიდი უმრავლესობა მეორე დაშვებისკენ იხრება. მათი 86% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ალნ ჯგუფების გაძლიერების მიზეზი „ხელისუფლების ფარული მხარდაჭერაა“ (50% ამას სრულად ეთანხმება). ამ შეფასებას მხოლოდ გამოკითხულთა 8.5% არ დაეთანხმა (6%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა). მეორე

მხრივ, გამოკითხულთა მხოლოდ 1.7% თვლის, რომ ხელისუფლების პოლიტიკა აღწევს ჯგუფების მიმართ სრულიად ადეკვატურია, ხოლო 18%-ის აზრით, ის „ნაწილობრივ ადეკვატურია“. 78% მას „სრულიად არაადეკვატურად“ აფასებს. მსგავსი განწყობა გამოჩნდა ჩაღრმავებული ინტერვიუების უმრავლესობაში.

თუმცა ექსპერტთა უმრავლესობა დარწმუნებით საუბრობს ხელისუფლებასა და აღწევს შორის კავშირზე, ისინი თანხმდებიან, რომ ამის მხოლოდ არაპირდაპირი ინდიკატორები არსებობს: საჯაროდ ხელისუფლება უარყოფს ამგვარ კავშირს. ძირითადი არაპირდაპირი ინდიკატორი ისაა, რომ ის არ რეაგირებს ან სუსტად რეაგირებს ძალადობის, ძალადობისკენ მოწოდების ან ძალადობის მუქარის მიმართ, როდესაც ეს უკანასკნელი აღწევს ჯგუფებიდან მოდის, მაშინ როდესაც მეტად მკაცრად უდგება კანონის ნებისმიერ გადაცდომას პოლიტიკური ოპოზიციის ან სამოქალაქო აქტივისტების მხრიდან.<sup>50</sup> ასე იყო, მაგალითად, 2019 წლის წლის 20-21 ივნისის დამის მოვლენების შემდეგ, როდესაც მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა პარლამენტის ეზოში შეჭრა სცადა და ამას პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკებები, შემდეგ კი სპეცდანიშნულების ძალების მიერ მიტინგის დაშლა მოჰყვა: ამ მოვლენების არაერთ მონაწილეს რამდენიმეწლიანი პატიმრობა შეეფარდა.<sup>51</sup> ამისგან განსხვავებით, მაგალითად, 2013 წლის 17 მაისს LGBTQ უფლებათა დაცვის აქციის დიად ძალადობრივი დარბევისთვის პრაქტიკულად არავინ დასჯილა.<sup>52</sup>

ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდის“ კვლევების თანახმად, სამთავრობო უწყებები ან მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (საჯარო სამართლის იურიდიული პირები) ირიბად აფინანსებენ დიად ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ მედიას იმით, რომ ოფიციალური ინფორმაციის და რეკლამის განთავსებისას მათ უპირატესობას ანიჭებენ.<sup>53</sup>

რით აიხსნება ხელისუფლების ასეთი პოზიცია? ნაწილობრივ შეიძლება შეხედულებათა სიახლოვეზეც ვისაუბროთ: „ქართული ოცნების“ ზოგი წარმომადგენელი საჯაროდ გამოთქვამს მოსაზრებებს, რომლებიც შინაარსობრივად ახლოსაა აღწევს ჯგუფების გზავნილებთან.<sup>54</sup> მაგრამ აქედან ვერ გამოვიტანთ დასკვნას, რომ „ქართული ოცნება“ ნეიტრალური პარტიაა: ეს უფრო ამ პარტიის იდეოლოგიურ სიჭრელზე მიუთითებს. მეორეს მხრივ, ის პერიოდულად დათმობებზე მიდის ამ ჯგუფების მიმართ (მაგალითად, როდესაც მან მხარი დაუჭირა კონსტიტუციურ შესწორებას, რის თანახმადაც ქორწინება განისაზღვრა, როგორც ქალსა და მამაკაცს შორის კავშირი<sup>55</sup>), მაგრამ ასეთი ნაბიჯები სისტემურ ხასიათს არ ატარებს.

ძირითადი, როგორც ჩანს, ტაქტიკური პოლიტიკური ინტერესია. ქართველი პოლიტიკური კო-

მენტატორების დიდი უმრავლესობა თანხმდება, რომ სხვადასხვა არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ ძირითადი სტრატეგიაა „ნაციონალური მოძრაობის“ დემონიზება; მმართველი პარტია თავს წარმოაჩენს როგორც ძალას, რომელიც ძველი ხელისუფლების არდაბრუნების გარანტიაა. მეორე მხრივ, მმართველი პარტიის „მესიჯ-ბოქსის“ სტაბილური ნაწილია ყველა ოპოზიციური თუ მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ძალის (პოლიტიკური პარტიის, საპროტესტო მოძრაობის, არასამთავრობო ორგანიზაციის თუ მედიის) „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირება ან გათანაბრება. როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ, აღწევს ასევე ახდენენ „ნაციონალური მოძრაობის“ დემონიზებას (ისე, როგორც მთლიანად ლიბერალურ-პროდასავლური პარტიების თუ ორგანიზაციებისას, რომელთაც ისინი ერთ ქვაბში აქცევენ) და ხელისუფლებას მის მიმართ ზედმეტად რბილი მოპყრობისთვის აკრიტიკებენ. ამ მიმართებაში მათი შეხედულებების და ინტერესების დამთხვევა აშკარაა.

ეს განსაკუთრებით ჩანს არჩევნების და საპროტესტო აქციების პერიოდში. მაგალითად, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველსა და მეორე ტურებს შორის, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ ხელისუფლების მხარდაჭერილი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი გრიგოლ ვაშაძე და პირველის გამარჯვება ეჭვის ქვეშ დადგა, ყველაზე მრავალრიცხოვანი პოლიტიკური მიტინგი მთავრობის მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ პატრიოტთა ალიანსის ეგიდით გაიმართა – თუმცა ორგანიზატორები ხაზს უსვამდნენ, რომ მათი მთავარი მიზანი არა ზურაბიშვილის მხარდაჭერა, არამედ ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვების დაუშვებლობა იყო.<sup>56</sup>

2018 წლის მაისში, როდესაც მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ თაოსნობით ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა, აღწევს ჯგუფებმა კონტრაქცია გამართეს, რომლის დროსაც „თეთრი ხმაურის“ აქციის მომხრეებს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. ამის შემდეგ, ხელისუფლებამ საპროტესტო აქციის მონაწილეებს განუცხადა, რომ მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა და ამ არგუმენტით დაარწმუნა ისინი, დაშლილიყვნენ.<sup>57</sup> ეს სცენარი შემდეგ რამდენჯერმე განმეორდა: სამოქალაქო აქციებს აღწევს ჯგუფების კონტრაქციები მოჰყვებოდა, რის შემდეგაც ხელისუფლება მოქალაქეთა ორ ჯგუფს შორის მშვიდობის უზრუნველყოფის ფუნქციას იღებდა თავის თავზე. ამ დროს ის ორივე მხარეს თანაბარ დონეზე აყენებდა, თუმცა ძალადობის მუქარა ან ძალადობრივი ქმედების მცდელობა მხოლოდ ერთი მხრიდან მოდიოდა. თუმცა შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ ხელისუფლება და აგრესიული აღწევს შეთანხმებულად მოქმედებდნენ, პრაქტიკული შედეგის თვალსაზრისით, აღწ-

ჯგუფები ხელისუფლებას საპროტესტო აქციების დაშლაში ეხმარებოდნენ. ერთ-ერთი გამოკითხული ექსპერტის შეფასებით, ხელისუფლება იყენებს ალნ ჯგუფებს იმის გასაკეთებლად, რისი გაკეთებაც თავად არ უნდა.

შედარებისთვის შეიძლება ვთქვათ, რომ პოპულისტური ანტილიბერალური გზავნილები შეიძლება სხვა პოლიტიკური პარტიებიდანაც მოდიოდეს, რომლებიც „აღნიშნულ ჯგუფებში“ არ მოიაზრება. მაგალითად, მედიის განვითარების ფონდის მედია-მონიტორინგის შედეგების მიხედვით, ასეთ გზავნილებს პერიოდულად იყენებს ძირითადი ოპოზიციური პარტია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.<sup>58</sup> საკმაო რეზონანსი ჰქონდა „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერის განცხადებას ერთი სქესის ადამიანთა ქორწინების დაუშვებლობაზე, რომელიც ბევრმა ლიბერალმა აქტივისტმა ჰომოფობიურად შეაფასა.<sup>59</sup> მაგრამ, ამ ორიენტაციის პარტიებისგან ასეთი განცხადებები, ხსენებული კვლევების მიხედვით, გაცილებით უფრო იშვიათია (როგორც ღიად ანტილიბერალურ, ისე მმართველ პარტიებთან შედარებით).

*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და აღნიშნული ჯგუფები*

ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნული ჯგუფების მნიშვნელოვანი მოკავშირეა. ის კვლევაში გამოკითხულმა ექსპერტებმაც დაადასტურეს. თუ ამას დავეთანხმეთ, ესეც შეიძლება ამ ჯგუფების გაზრდილი გავლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად ჩავთვალოთ, რადგან ეკლესია საქართველოში ყველაზე ავტორიტეტულ სამოქალაქო აქტორად რჩება იმის მიუხედავად, რომ მისი ნდობის დონემ ბოლო წლებში რამდენადმე დაიკლო.<sup>60</sup>

აღნიშნული ჯგუფები თავს, როგორც წესი, მართლმადიდებლური ღირებულებების დამცველებად წარმოადგენენ, რამაც, ეკლესიის მიმართ მაღალი ნდობის პირობებში, შეიძლება მათ უფრო მაღალ ლეგიტიმურობას შეუწყოს ხელი. სამღვდლოების წარმომადგენელთა პერიოდული მონაწილეობა აღნიშნული ჯგუფების საქმიანობაში და მათ მიერ მსგავსი გზავნილების ხშირი გაქვეყნება ქმნის აღქმას, რომ ეკლესია არსებითად იწონებს აღნიშნული ჯგუფების საქმიანობას. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ 2013 წლის 17 მაისს, როდესაც LGBTQ უფლებათა დამცველების მცირე აქცია მრავალათასიანმა ბრბომ დაარბია, კონტრაქციის მართლმადიდებელი მღვდლები, მათ შორის საპატრიარქოს მაღალი რანგის წარმომადგენლები მიუძღოდნენ წინ.<sup>61</sup> იმავე წელს ეკლესია ღიად და აქტიურად შეეწინააღმდეგა საქართველოს პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას. მან მიზანს მთლიანად ვერ მიაღწია, მაგრამ მისი ზეწოლის შედეგად კანონის საბოლოო ვერსია კონკრეტული შინაარსისგან დაიცალა.<sup>62</sup> 2015 წელს ეკლესიამ

მხარი დაუჭირა ინიციატივას საკონსტიტუციო ცვლილების მიღებაზე, რომელიც ქორწინებას გასაზღვრავდა, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირს – 2017 წელს პარლამენტმა მართლაც მიიღო ეს შესწორება კონსტიტუციაში.<sup>63</sup> ფაქტობრივად, ყველა ამ შემთხვევაში ეკლესიის და აღნიშნული ჯგუფების დღის წესრიგი ერთმანეთს ემთხვევა.

გამოკითხული ექსპერტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ ეკლესია არაერთგვაროვანია და სხვადასხვა განწყობის ადამიანებს აერთიანებს. ბოლო წლებში, ეს განსხვავებები სულ უფრო მეტად გამოიხატება საჯარო სივრცეში. ამასთან, ეკლესიის ოფიციალური პოზიციაა, რომ ის მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.<sup>64</sup> მაგრამ პრაქტიკულად ყველა გამოკითხული ექსპერტი თანხმდება, რომ ეკლესიის შიგნით ანტიდასავლური და ანტილიბერალური გავლენა ჭარბობს.

თავისთავად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ეკლესია კონსერვატიულ ღირებულებებს იცავს და, ამ მხრივ, მას და აღნიშნულ ჯგუფებს შორის შეხედულებათა დამთხვევა არსებობს. კერძოდ, ეკლესიის მსახურთა დიდი ნაწილის და აღნიშნული ჯგუფების მსოფლმხედველობა იკვეთება კონცეფტუალურ სივრცეში, რომელსაც „რელიგიური ნაციონალიზმი“ შეიძლება ეწოდოს.<sup>65</sup> მაგრამ, მსოფლმხედველობრივი გადაკვეთის გარდა, აქ ინტერესთა დამთხვევაც შეიძლება დავინახოთ. როგორც ვთქვით, მართლმადიდებლობის დამცველთა იმიჯი და ეკლესიასთან კავშირის დემონსტრირება აღნიშნული ჯგუფებისთვის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი უმთავრესი რესურსია. მეორეს მხრივ, აღნიშნული ჯგუფების დამოუკიდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ეკლესიას მეტ მოქნილობას ანიჭებს: ამით მას პოლიტიკაში უშუალოდ ჩარევის გარეშე საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელების დამატებითი საშუალება ეძლევა (თუმცა, ეკლესიის ლიდერი, კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე და სხვა მღვდელმთავრები არც ხელისუფლების მიმართ მოთხოვნების საჯაროდ განმარტებას ერიდებიან).

ეკლესიის დიდ ნაწილს და აღნიშნულ ჯგუფებს საერთო პოლიტიკური ოპონენტიც ჰყავთ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების (შემდეგ – ოპოზიციური პარტიის) სახით. ფორმალური თვალსაზრისით, ეკლესია პოლიტიკურად ნეიტრალურია, მაგრამ ექსპერტები თვლიან, რომ 2012 წლის არჩევნებში საეკლესიო პირთა უმრავლესობის მიერ მაშინდელი ოპოზიციის მხარდაჭერა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ ერთ-ერთი ფაქტორი იყო, რამაც ამ უკანასკნელის დამარცხებას შეუწყო ხელი.<sup>66</sup> ეკლესიასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც 2011 წელს პარლამენტმა, ეკლესიის ნების წინააღმდეგ, მიიღო შესწორებები კანონმდებლობაში, რამაც უმცირესობათა ეკლესიებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით

რეგისტრაციის საშუალება მისცა.<sup>67</sup> თუმცა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა ეკლესიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას და ოპოზიციის წევრებს დროსაც მიხეილ სააკაშვილი მუდმივად ახდენს ეკლესიის მიმართ თავისი ლოიალობის დემონსტრირებას,<sup>68</sup> საბოლოოდ ეს მცდელობა ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებას შორის დაბაბულობის შექმნა დაახლოებით აღნაგობის გააქტიურების პერიოდს ემთხვევა. მით უმეტეს, რომ კავშირი აღნაგობის დღის წესრიგსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის მანამდეც არსებობდა – გავიხსენოთ თუნდაც 1995 წლიდან არსებული „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, რომელიც აღნაგობა შორის დიდხანს ყველაზე აქტიურად ითვლებოდა.<sup>69</sup> მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პერიოდის სამდგვლოების ნაწილს და აღნაგობებს თანამშრომლობის უფრო გამოკვეთილი მოტივი შეექმნათ.

*შესაძლო ფონური ფაქტორები: სიღარიბე და განათლება*

კიდევ რა ფაქტორები შეიძლება განვიხილოთ აღნაგობის გაძლიერების მიზეზად? ინტერვიუებსა და დისკუსიებში ორი ასეთი ფაქტორი ამოტივტივდა: სიღარიბე და განათლება. რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხული ექსპერტების დიდი უმრავლესობა (88%) დაეთანხმა მოსაზრებას, რომ „ართული სოციალურ-ეკონომიკური ფონი“ აღნაგობის გავლენის გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. ამასთან, ბევრმა ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა განათლების, უფრო სწორად, მათი აზრით, საზოგადოების არასაკმარისი განათლებულობის დონეზე: ამ ფონზე აღნაგობებს უადვილდებათ ყალბი ინფორმაციის და შეთქმულების თეორიების გავრცელება.

პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, სოციოლოგიურად, განათლების ცენზი და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი კორელაციაშია ერთმანეთთან: მაღალი ალბათობით, ნაკლებად განათლებული ადამიანები იმავდროულად ღარიბებიც არიან და პირიქით. როგორც დასავლური კვლევები აჩვენებს, მემარჯვენე პოპულაციური პარტიების მომხრეთა შორის შედარებით დიდია დაბალი განათლების და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანთა რიცხვი,<sup>70</sup> თუმცა, ძნელი განსაზღვრებაა, ამ შემთხვევაში რა თამაშობს უფრო დიდ როლს: სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი თუ განათლების დონე. ასე რომ, ეს ორი ფაქტორი პარალელურად შეგვიძლია განვიხილოთ.

მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სიღარიბეც და განათლების დაბალი დონეც უფრო ფონური

ინდიკატორებია. ისინი ვერ აგვისხნის, რატომ გაიზარდა აღნაგობის გავლენა გარკვეულ პერიოდში, თუ ამ დროს არ აღინიშნებოდა სიღარიბის ზრდა ან განათლების დონის დაცემა. საამისო მონაცემები საქართველოს შემთხვევაში არ გვაქვს. 2010 და 2019 წლებს შორის, ერთიანი ეროვნული შემოსავლის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 4.8%-ს შეადგენდა; 2007-იდან 2018 წლამდე სიღარიბის მაჩვენებელი საკმაოდ მკვეთრად შემცირდა 37.4%-იდან 20.1%-ამდე.<sup>71</sup> ეს, თავისთავად, კმაყოფილების საფუძველს არ გვაძლევს: ქვეყანას გაცილებით უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდა სჭირდება, ხოლო სიღარიბის მაჩვენებელი მიუღებლად მაღალი რჩება. მაგრამ მოყვანილი მაჩვენებელი ვერ ადასტურებს აღნაგობის გავლენის ზრდის კორელაციას სიღარიბის ფაქტორთან.

რაც შეეხება საკუთრივ განათლების ფაქტორს: როგორც ვთქვით, თუმცა მთელ მსოფლიოში აღნაგობის მსოფლმხედველობის რიგით მომხრეთა შორის უმრავლესობას შედარებით დაბალი განათლების ცენზის მქონე ადამიანები შეადგენენ, მათ ლიდერებს და იდეოლოგებს შორის ხშირად საკმაოდ განათლებული ადამიანები არიან. როგორც ამ გამოკითხვაში მონაწილე ზოგიერთმა ექსპერტმაც გაუსვა ხაზი, საქართველოში აღნაგობის ლიდერებს შორის კარგად განათლებული, მათ შორის დასავლური განათლების მქონე ადამიანებიც არიან. იგივე ითქმის საქართველოზეც: მაგალითად, ამერიკაში მიღებულ განათლებას ხელი არ შეუშლია ლევან ვასაძისთვის, აღნაგობის ერთ-ერთი სახე გამხდარიყო.<sup>72</sup> გარდა ამისა, აღნაგობის გაძლიერება შეიმჩნევა იმ დასავლურ ქვეყნებშიც, სადაც განათლების სისტემა, საქართველოსთან შედარებით, ბევრად განვითარებულად ითვლება. თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ბევრი სერიოზული პრობლემაა და მათი გამოსწორება ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, ამ პრობლემების გადაწყვეტა, აქ განხილული საკითხის თვალსაზრისით, პანაცეა ვერ იქნება.

**3. შეფასება**

*აღნაგობის ზრდა რამდენად უქმნის საფრთხეს ქვეყნის განვითარებას?*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კვლევა და მასში მონაწილე ექსპერტები იმ ხედვიდან ამოდიან, რომ საქართველო დასავლური სტილის ლიბერალური დემოკრატია უნდა გახდეს (ზევით ამას ამ ნაშრომის მიკერძოებაც ვუწოდებთ). ჰიპოთეტურად შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს მოსაზრება მცდარია და საქართველომ განვითარების სხვა გზა უნდა აირჩიოს. მაგრამ ამ ზოგადი აზრის დასაბუთება ამ ნაშრომის მიზნებს სცდება: საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ, როგორც მრავალრიცხოვანი სოციო-



ლოგიური გამოკითხვები მოწმობს, საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს როგორც ლიბერალური დემოკრატიის ინსტიტუტების და ნორმების დამკვიდრების აუცილებლობას, ისე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსს.<sup>73</sup> სულ მცირე, დეკლარაციის დონეზე, ამას ეთანხმება საქართველოში მოქმედი და ასე თუ ისე გავლენიანი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა.

თუ ეს ასეა, თავისთავად ცხადი ხდება შეფასება, რომ აღნაგობის აქტივობის და გავლენის ზრდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ნეგატიური მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. ამ ქვეთავში უფრო კონკრეტული შეკითხვები უნდა დაგვსვას: რამდენად დიდია ეს გავლენა? კონკრეტულად, რა სფეროებზე ვრცელდება ის და რა კონკრეტულ საფრთხეებს ქმნის (თუკი ქმნის)? იქნებ წარმოდგენა ამ საფრთხეებზე გაზვიადებულია? იმაზე, თუ რა პასუხებს გაცემთ ამ კითხვებს, დამოკიდებულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ ჯგუფების აქტივობას და, რაც მთავარია, ამ ტენდენციებზე როგორ პასუხს მივიჩნევთ სასურველად.

ამ მხრივ, კვლევამ აზრთა სხვადასხვაობა გამოავლინა. მისი რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტები რამდენადმე განსხვავებულ სურათს გვიხატავს. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 55%-ის აზრით, „აღნაგობის საქმიანობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის განვითარებას“, სულ მცირე, ერთ რომელიმე სფეროში. აღნაგობის საქმიანობას ნეგატიურად, მაგრამ არა სერიოზული საფრთხის შემცველად 31% აფასებს, ხოლო 13% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „აღნაგობის არსებობა და მათი გავლენის არსებული დონე ნორმალურია დემოკრატიული ქვეყნისთვის.“ სხვა შეკითხვაზე პასუხისას, მხოლოდ 3.4% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ამ ჯგუფებს „არც ერთ სფეროზე არ მოუხდენიათ სერიოზული გავლენა“.

ჩარღმავებულ ინტერვიუებში ექსპერტების უმრავლესობა უფრო თავშეკავებული იყო და აღნაგობის გავლენა შეაფასა როგორც „მცირე“ ან „საშუალო“. ზოგი მოსაზრებით, თავისთავად მათი პოტენციალი (თუნდაც რუსეთისგან სავარაუდო დახმარების გათვალისწინებით) არც ისე დიდია, მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ მათ ხელისუფლება ან მართლმადიდებელი ეკლესია (თუ ეკლესიის შიგნით არსებული გარკვეული ჯგუფები) თავის ინსტრუმენტად იყენებენ ან შეიძლება გამოიყენონ, მაშინ მათგან მომდინარე საფრთხეები გაცილებით უფრო სერიოზულად უნდა შეფასდეს. გამოითქვა განსხვავებული აზრიც: სამოქალაქო სექტორისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლები უნებლიედ ზრდიან აღნაგობის გავლენას საკუთარი ზედმეტი ყურადღებით.

ამავე დროს, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ აღნაგობებს აქვთ სერიოზულ საფრთხედ ქცევის

პოტენციალი, თუ მათი რესურსები და გავლენა გაიზარდა. ამის ალბათობა, მათი აზრით, არც ისე მცირეა: რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე ექსპერტთა 46%-ის აზრით, მოსალოდნელია მათი ზომის და გავლენის ზრდა, 19% მათი ზომის და გავლენის დაახლოებით არსებულ დონეზე შენარჩუნებას ელის, 13% კი ელის, რომ ის შემცირდება.

კონკრეტულად, რა დგას ამ მოლოდინების უკან? რის ხარჯზე შეიძლება გაიზარდოს აღნაგობის გავლენა? ფაქტორი, რომელსაც ექსპერტები ყველაზე ხშირად ასენებდნენ, ისაა, რომ მოსახლეობაში სოციალური კონსერვატიზმის მხარდაჭერა საკმაოდ მაღალია; აღნაგობებს შეუძლიათ, ასეთი განწყობების უფრო ეფექტური მობილიზაცია მოახდინონ.

ამ ვარაუდის შეფასება ძალიან რთულია, მაგრამ მას რომც დავეთანხმეთ, ამ შემთხვევაში იგულისხმება აღნაგობის შედარებით სტაბილური სტრატეგიული რესურსი: საზოგადოების განწყობები ერთბაშად არ იცვლება. მაგრამ გარდა ამისა, ბევრი რამ შეიძლება დამოკიდებული იყოს პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე. ყველაზე დიდ მნიშვნელობას ექსპერტები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ანიჭებენ. თუ დავეთანხმეთ ზემოთ განხილულ მოსაზრებას (რომელსაც გამოკითხულ ექსპერტთა დიდი ნაწილი ეთანხმება), რომ არსებული ხელისუფლება აქეზებს ამ ჯგუფებს და იყენებს მათ ოპოზიციასთან (ამ სიტყვის ფართო აზრით) საბრძოლველად, მაშინ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში აღნაგობები ამ რესურსს დაკარგავენ. სხვა ფაქტორები მოიცავს დასავლეთთან ინტეგრაციის პოლიტიკის წარმატებას (ივარაუდება, რომ წარმატება დაასუსტებს აღნაგობებს, წარუმატებლობა კი წაახალისებს); ეკონომიკურ სიტუაციას (იგულისხმება, რომ სიღარიბე ხელს უწყობს ამგვარი ძალების გაძლიერებას); დემოკრატიის განვითარების ტენდენციებს (პოლიტიკური პოლარიზაცია და დანაწევრება ხელს უწყობს პოლიტიკური კლასის მიმართ უნდობლობას და ანტისისტემური მოთამაშეების წინ წამოწევას); რუსეთის გაძლიერებას ან შესუსტებას (რუსეთის გაძლიერება ამ ძალებს, სულ მცირე, ირიბად წაახალისებს); მართლმადიდებელი ეკლესიის და მისი საპატრიარქოს გავლენის გაძლიერებას თუ შესუსტებას; სამოქალაქო განათლების მდგომარეობას და ა.შ.

თუ ჩავთვლით, რომ აღნაგობის გავლენა შედარებით ძლიერია ან მომავალში გაიზარდება, კონკრეტულად, პოლიტიკის და სოციალური ცხოვრების რა სფეროებში (გამომჟღავნდება ის? გამოკითხული ექსპერტების უმრავლესობა (84%) თვლის, რომ ეს გავლენა განსაკუთრებით უმცირესობებისადმი დამოკიდებულებაში მჟღავნდება. როგორც მთელ მსოფლიოში, აღნაგობები აგრესიას უმცირესობათა მიმართ იჩენენ. საქართველოში, განსაკუთრებით თვალსაჩინოა მათი

ბროლა LGBTQ თემის წარმომადგენლებთან, რაც ამ უკანასკნელთა ფიზიკურ უსაფრთხოებას საფრთხის ქვეშ აყენებს. ასევე, მათ შეუძლიათ, საგრძნობი გავლენა მოახდინონ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რეალურ მდგომარეობაზე და მათი უფლებების დაცულობის ღონე შეამცირონ.

მეორე სფერო, რომელსაც ექსპერტებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს, ოპოზიციის და სამოქალაქო ჯგუფების უფლებების დაცვა და ფიზიკური უსაფრთხოებაა (ამ მხრივ, 67% ხედავს ალნ ჯგუფებს ანგარიშგასაწევ საფრთხედ). ამ მხრივ, ფონური ინდიკატორი პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი ღონეა: ეს უკანასკნელი ზრდის პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის საფრთხეს, რომლის განმახორციელებლად ხშირად ალნ ჯგუფები გვევლინება, თუმცა ხელისუფლების მხრიდან წაყრუების ან შეფარული წახალისების პირობებში. დღევანდელ პოლიტიკურ კონტექსტში ალნ ჯგუფები ზრდიან არა მხოლოდ პოლიტიკური პოლარიზაციის სიმძაფრეს, არამედ იმის ალბათობას, რომ ამ პოლარიზაციამ ძალადობრივი ფორმა მიიღოს.

ზემოაღნიშნული პრობლემები მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ისინი არ განაპირობებს საზოგადოების ყურადღებას ალნ ჯგუფების მიმართ, ხანდახან კი განსაკუთრებულ შეშფოთებას მათი გააქტიურების გამო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ანტიდასავლური რიტორიკა ცენტრალურია ალნ ჯგუფებისთვის და, ბევრი ადამიანის აზრით, მათ უკან რუსეთი დგას, ბუნებრივია ვიკითხოთ: რამდენად ღიდა იმის ალბათობა, რომ მათმა აქტივობამ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე გავლენა იქონიოს, კერძოდ, ქვეყანას ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მიზანზე ააღებინონ ხელი?

ჩაღრმავებულ ინტერვიუებში გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ჯერჯერობით ალნ ჯგუფებს ამის შანსი არა აქვთ. რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხულ ექსპერტთა თითქმის ნახევარი (49%) ამას სერიოზულ შესაძლებლობად განიხილავს – ოღონდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ალნ ჯგუფების გავლენა მომავალში გაიზრდება. ჯერჯერობით აშკარაა, რომ მათ ამ მხრივ ბევრი ვერაფერი შეცვალეს: საქართველოს გაცხადებული საგარეო პოლიტიკური კურსი იგივე რჩება (თუმცა ხელისუფლება ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი იმისთვის, რომ ამ კურსს არასაკმარისად თანმიმდევრულად და ენერგიულად მისდევს). როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების მხარდაჭერის ღონე ამ კურსის მიმართ არ შემცირებულა.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ, თუ ამოსავლად ალნ ჯგუფების აქტივობის და გავლენის არსებულ ღონეს ავიღებთ, ის ყურადსაღები პრობლემების წყაროა. მაგრამ ამ ეტაპზე ის ვერ იქნება სერიოზული შეშფოთების საფუძველი.

სათანადო პოლიტიკური ნების გამოჩენის შემთხვევაში, მათი საქმიანობის ეფექტები შედარებით ადვილად შეიძლება შემცირდეს.

ამ პრობლემის წონა ვერ შეედრება საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიცაა გადაუწყვეტელი ტერიტორიული კონფლიქტები, არაფორმალური მმართველობა, სასამართლოს დამოუკიდებლობის დეფიციტი და სხვა. ვერც იმას ვიტყვით, რომ საქართველოში ალნ ჯგუფების მეტი გავლენა აქვთ, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში.

შეშფოთების საფუძველს უფრო მეტად იმის პერსპექტივა იძლევა, რომ მათი აქტივობის და გავლენის შემდგომი ზრდის შემთხვევაში მათ შეიძლება გაცილებით უფრო სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინონ დემოკრატიის ისედაც მყიფე და განუვითარებელ ინსტიტუტებზე. აქედან გამომდინარე, ის, ვისაც უღირს საქართველოს დემოკრატიული განვითარება, ამ პრობლემის მიმართ ყურადღებას ვერ შეანელებს.

#### 4. რეკომენდაციები

როგორი პოზიცია უნდა ჰქონდეთ ლიბერალური დემოკრატიის მომხრეებს ალნ ჯგუფების მიმართ? საჭიროა თუ არა რაიმე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მათი გავლენის გასანეიტრალებლად და თუ საჭიროა, როგორი უნდა იყოს ეს ნაბიჯები?

ამ კითხვაზე პასუხები ცვადატორ დირითად ღონეზე: ესაა სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება.

*რა შეიძლება გაკეთდეს ალნ ჯგუფების გავლენის შესამცირებლად თუ გასანეიტრალებლად? სახელმწიფოს ღონე*

როგორც არ უნდა შევაფასოთ ლიბერალური ღირებულებების მომხრეებმა ალნ ჯგუფების შეხედულებები, ვერ უარყოფთ, რომ ამ შეხედულებებს არსებობის უფლება აქვს და მათი გამოხატვა ისევე უნდა იყოს დაცული კანონით, როგორც ნებისმიერი სხვა შეხედულებისა. გამოკითხულმა ექსპერტებმაც ამ საკითხზე, პრაქტიკულად, სრული კონსენსუსი გამოავლინეს: დაუშვებელია ალნ ჯგუფების საქმიანობის შეზღუდვა მხოლოდ იმის გამო, რომ მათი გზავნილები ეწინააღმდეგება ლიბერალურ და დემოკრატიულ პრინციპებს ან საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, როგორც ისინი პროდასავლურად განწყობილ ადამიანებს ესმით. გამოკითხული ექსპერტების მხოლოდ 18%-მა ჩათვალა, რომ „საჭიროა ახალი კანონმდებლობის

შექმნა, რომელიც აღნ ჯგუფების საქმიანობის შეზღუდვას შესაძლებელს გახდის“.

მაგრამ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წითელი ხაზები, რომლის გადალახვის უფლება არავის აქვს. პირველ რიგში, ესაა ძალადობა, ძალადობის მუქარა ან ძალადობისკენ მოწოდება. აშკარაა, რომ ასეთი ქმედება დამახასიათებელია ბევრი აღნ აქტორისთვის საქართველოში. ასეთ შემთხვევაში არსებული კანონმდებლობა ადეკვატურ ზომებს ითვალისწინებს, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება მათ არ იყენებს, ან ძალიან იშვიათად იყენებს. კანონის არსებული მოთხოვნების ადეკვატურად გამოყენება არსებითად შეზღუდავდა აღნ ჯგუფების ქმედებებს იმ ნაწილში, რაც ადამიანების (უმცირესობების, ოპოზიციის და სამოქალაქო აქტივისტების) უფლებების შელახვას ეხება. გასაკვირი არაა, რომ ექსპერტების მხრიდან ეს რეკომენდაცია ყველაზე პოპულარული აღმჩნდა: 77%-მა გაიზიარა აზრი, რომ „ხელისუფლებამ უნდა შეცვალოს ფაქტობრივი წახალისების პოლიტიკა აღნ ჯგუფების მიმართ.“

რუსეთთან აღნ ჯგუფების (ან ზოგიერთი მათგანის) სავარაუდო კავშირთან დაკავშირებით ზოგმა გამოკითხულმა ექსპერტმა გამოთქმა მოსაზრება, რომ სახელმწიფომ უფრო მკაცრად უნდა აკონტროლოს რუსეთიდან შემოსული ფინანსური ნაკადები. მაგრამ ეს მიდგომა საკამათოა და ბევრმა ექსპერტმა მას სკეპტიკურად შეხედა. თუ სახელმწიფოს გარედან შემოსული ფინანსური ნაკადების კონტროლის ფუნქციას გაუზრდით, ამან შეიძლება, საბოლოო ჯამში, ნეგატიური შედეგი გამოიღოს. საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა დასავლელი დონორების დახმარებაზე დამოკიდებული; სამოქალაქო სექტორის რეალური დამოუკიდებლობა დიდწილად უკავშირდება მათ უფლებას, უცხოეთიდან მიიღონ ფინანსური დახმარება. ეს უფლება საქართველოში ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, თუმცა ბევრ ავტორიტარულ პოსტსაბჭოთა რეჟიმში უცხოეთიდან ფინანსური დახმარების მიღება შეზღუდულია იმ მოტივით, რომ ის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ შეიძლება იყოს გამოყენებული. იმ პრეცედენტის დაშვება, როდესაც სახელმწიფო ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას უცხოური წარმომავლობის გამო, შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული, საზოგადოდ, არასამთავრობო სექტორის წინააღმდეგ.

ჰიპოთეტურად, ამ პრობლემის გადაჭრის გზა შეიძლება იყოს იმგვარი კანონმდებლობის მიღება, რაც ფინანსური დახმარების მიღებას, კონკრეტულად, რუსეთიდან, როგორც ოკუპანტი ქვეყნისგან, უფრო მკაცრი კონტროლის რეჟიმში დააყენებდა. მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში დაზარალებულნი საქართველოს რიგითი მოქალაქეები, რომლებიც რუსეთში მცხოვრები ახლობლების ფინანსურ გადარიცხვებზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომ ეს გზაც პერსპექტიული არ არის.

**დაუშვებელია აღნ ჯგუფების საქმიანობის შეზღუდვა მხოლოდ იმის გამო, რომ მათი გზავნილები ეწინააღმდეგება ლიბერალურ და დემოკრატიულ პრინციპებს ან საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, როგორც ისინი პროდასავლურად განწყობილ ადამიანებს ესმით.**

კიდევ ერთი საკამათო თემაა სახელმწიფოს სასურველი რეაქცია აღნ ჯგუფების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების მიმართ. ცხადია, ამ ენას მხოლოდ აღნ ჯგუფები არ იყენებენ, მაგრამ მათ შემთხვევაში ის სისტემურ სახეს იღებს. ეს თემა მსოფლიო მასშტაბითაც დისკუსიებს იწვევს ლიბერალურ წრეებში: საქმე ეხება როგორც იმის განსაზღვრას, სახელდობრ, რა უნდა ჩაითვალოს „სიძულვილის ენად“ და, რაც მთავარია, უნდა იყოს თუ არა ის დასჯადი კანონის ძალით. ასეთი დასჯადობა აშკარა წინააღმდეგობაში მოდის გამონათქვამის თავისუფლების პრინციპთან, თუმცა ზოგი უფლებადამცველი მას მაინც გამართლებულად თვლის.<sup>74</sup> საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამგვარ სასჯელს, თუმცა შესაბამისი ინიციატივები გამოთქმულა, მათ შორის, ხელისუფლების მხრიდანაც, განსაკუთრებით, როცა საქმე „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას“ ეხება.<sup>75</sup>

ამ დროს მხოლოდ ზოგადი ლიბერალური პრინციპების ინტერპრეტაციაზე არაა საუბარი: აუცილებელია საქართველოს პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება. ჰიბრიდული (ნახევრადავტორიტარული) პოლიტიკური რეჟიმის პირობებში საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ შემოღებული საკანონმდებლო შეზღუდვები ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენოს, რათა შეზღუდოს საკუთარი თავის, ასევე, განსაკუთრებით, შესაძლო მოკავშირის – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა (ეს საფრთხე ეხება არა მხოლოდ არსებულ, არამედ ნებისმიერ მომავალ ხელისუფლებას). ჩვენს კვლევაში გამოკითხულ ექსპერტებსაც არ გამოუთქვამთ მხარდაჭერა აღნ ჯგუფების აქტივობის ამ ნიშნით შეზღუდვის მიმართ.

არის კიდევ ერთი სფერო, რომელშიც სახელმწიფოს, ბევრის (მათ შორის ამ პროექტის რესპონდენტების თუ დისკუსიების მონაწილეების) აზრით, მეტის გაკეთება შეუძლია: ეს სამოქალაქო განათლების გაძლიერებაა. სამოქალაქო განათლების ამოცანა სწორედ იმ ღირებულებების დანერგვაა, რაც აღნ ჯგუფების გზავნილებს ეწინააღმდეგება. ამ მხრივ საქართველოში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა: 2005 წლიდან ეროვნულ სას-

**საზოგადოებას უნდა ჰქონდეს წითელი ხაზები, რომლის გადალახვის უფლება არავის აქვს. პირველ რიგში, ესაა ძალადობა, ძალადობის მუქარა ან ძალადობისკენ მოწოდება. აშკარაა, რომ ასეთი ქმედება დამახასიათებელია ბევრი აღნ აქტორისთვის საქართველოში.**

**პიბრიდული (ნახევრადავტორიტარული) პოლიტიკური რეჟიმის პირობებში საკმაოდ დიდი იმის ალბათობა, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ შემოდებული საკანონმდებლო შეზღუდვები ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენოს.**

წავლო გეგმაში (IX-X კლასებში) შევიდა საგანი „სამოქალაქო განათლება“;<sup>76</sup> ბოლო წლებში ამას დაემატა საგანი – „მე და საზოგადოება“ (მე-3 და მე-4 კლასებში).<sup>77</sup> ორივე შემთხვევაში მთავარი მიზანი მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გაზრდაა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს მისდევს. როგორც ჩანს, სახელმწიფოს მიმართ პრეტენზია უფრო განათლების ხარისხის ზოგადი გაზრდაა. ამის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ საკითხის განხილვა შორს გასცდებოდა ჩვენი ნარკვევის თემას.

*რა უნდა გააკეთოს სამოქალაქო საზოგადოებამ?*

ძირითადი მოთამაშე, რომელიც საქართველოში აღწევს ჯგუფების გავლენას უპირისპირდება, არის სამოქალაქო საზოგადოება ან, რომ დავაზუსტოთ, მისი ლიბერალური, პროდასავლური ნაწილი. მისი არასამთავრობო ორგანიზაციების სახით არსებული ნაწილი თავის მცდელობებში დასავლელი დონორების მხარდაჭერით სარგებლობს.

ამ მიმართულებით ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევა რამდენიმე ნაწილად შეიძლება გაიყოს. პირველ რიგში, სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად აკრიტიკებს და მორალურად ემობს აღწევს ჯგუფების საქმიანობის მრავალ მხარეს: განსაკუთრებით, მისი მხრიდან ძალადობის და სიძულვილის ენის გამოყენებას და მის მიერ საქართველოში რუსეთის დღის წესრიგის მხარდაჭერას. უფრო კონკრეტული საქმიანობაა აღწევს ჯგუფების მიერ გავრცელებული გამიზნულად ყალბი ინფორმაციის მხილება. გარდა ამისა, არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციები და ინდივიდუალური მკვლევარები აქტიურად მუშაობენ აღწევს ჯგუფების საქმიანობის მონიტორინგსა და ანალიზზე.

გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორის საქმიანობის უფრო ფართო მიმართულება, რომელსაც სამოქალაქო განათლება შეგვიძლია ვუწოდოთ, შეიძლება უშუალოდ არ იყოს მიმართული აღწევს ჯგუფების მოქმედების განეიტრალებაზე, მაგრამ, სინამდვილეში, უპირისპირდებოდეს ამ უკანასკნელთა გზავნილებს და ასუსტებდეს ანტილიბერალური, ანტიდასავლური ნარატივის გავრცელების შანსებს.

**არასამთავრობო ორგანიზაციების სამიზნე ჯგუფები ზედმეტად ვიწროა, მათ უჭირთ გასვლა იმ ადამიანთა წრის გარეთ, ვინც ისედაც ლიბერალურ და პროდასავლურ იდეებს იზიარებს.**

რამდენად ადეკვატური და ქმედითია ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის საქმიანობა? გამოკითხული ექსპერტების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების ამგვარ საქმიანობას, მაგრამ მისგან მეტ მოელის: 71%-მა მხარი დაუჭირა აზრს, რომ „სამოქალაქო საზოგადოებამ განსხვავებული მეთოდები უნდა გამოიყენოს აღწევს ჯგუფების გავლენის შესამცირებლად.“ მაგრამ რაში მდგომარეობს ეს განსხვავებული მეთოდები? კონკრეტული რეკომენდაციების გაცემა უფრო რთული აღმოჩნდა.

კრიტიკის ერთ-ერთი მიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების სამიზნე ჯგუფები ზედმეტად ვიწროა, მათ უჭირთ გასვლა იმ ადამიანთა წრის გარეთ, ვინც ისედაც ლიბერალურ და პროდასავლურ იდეებს იზიარებს. ზედმეტი აქცენტი კეთდება სოციალურ მედიაზე, მაშინ როდესაც ბევრი ადამიანი მას ნაკლებად იყენებს. ასევე, ზედმეტი ყურადღება ექცევა შედარებით ტექნიკურ საკითხებს და ტერმინოლოგიას: საჭიროა, სამოქალაქო სექტორის ენა და თემატიკა უფრო მეტად დაუახლოვდეს იმათ ენას და ინტერესებს, ვინც ლიბერალური „ბაბლის“ გარეთაა.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი აღწევს ჯგუფების წევრებთან დიალოგის შესახებ. დისკუსიების მონაწილეობა და რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, სამოქალაქო საზოგადოების პოზიცია ამ ჯგუფების მიმართ მათ მხილებაში, დაგმობასა და მარგინალიზაციაში უნდა მდგომარეობდეს: უნდა დამკვიდრდეს აზრი, რომ ეს არის ანტიეროვნული და ანტისაზოგადოებრივი ძალა, რომელიც შეგნებულად არის დაკავებული ტყუილის ტირაჟირებით. ამ ჯგუფების ხშირი მოხსენიება „რუსულად“ ან „რუსული საქმის მკეთებლად“ შეიძლება ამგვარი მარგინალიზაციის ერთ-ერთ მეთოდად ჩავთვალოთ. შესაბამისად, მათ ვერ განვიხილავთ სამოქალაქო საზოგადოების ლეგიტიმურ ნაწილად. დიდი წილი სამოქალაქო საზოგადოების ხსენებული აქტივობებისა ამ წინამძღვრიდან ამოდის.

ეს მიდგომა ლოგიკურად ადგილს არ უტოვებს აღნიშნულ ჯგუფებთან დიალოგს, რაც, განსაზღვრების თანახმად, მათი წარმომადგენლების და მათი გზავნილების მიმართ გარკვეულ პატივისცემას, მათთან თანასწორის პოზიციიდან ურთიერთობას გულისხმობს. ამგვარ დიალოგში შესვლა, ხსენებული ლოგიკით, ამ ჯგუფების ლეგიტიმაციას და მეინსტრიმიზაციას ნიშნავს, რასაც უნდა მოვერიდოთ. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად აკრიტიკებენ ქართულ მედიას იმისათვის, რომ ის აღწევს მოძრაობის „სახეებს“ დისკუსიებში იწვევს: ამით ის მათ სამოქალაქო საზოგადოების ლეგიტიმურ მოთამაშეებად წარმოაჩენს და მათი გზავნილების ტრანსლირებისთვის პლატფორმას ქმნის (მათ შორის, „სიძულვილის ენის“ გამოყე-

ნებით). ვარაუდი ან რწმენა, რომ ამ ჯგუფების წარმომადგენლები მტრულად განწყობილი ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ, კიდევ ერთი ფაქტორია, რაც მორალურ საფუძველს აცლის წარმოდგენას ასეთი დიალოგის შესაძლებლობას ან საჭიროებაზე.

მაგრამ ყველა ასე არ ფიქრობს. გამოითქვა აზრი, რომ საზოგადოების აღნიშნულ ნაწილთან მიმართებაში უფრო მოქნილი მიდგომა საჭიროა. ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნულ ჯგუფის ბევრი წარმომადგენელი (განსაკუთრებით, მათი ლიდერები) ოპონენტის შეურაცხყოფაზე, ხანდახან კი ძალადობაზეა ორიენტირებული და, ზოგჯერ, შეიძლება გარე ძალის დაკვეთას ასრულებდეს. ამ შემთხვევაში ურთიერთპატივისცემაზე აგებული დიალოგი მართლაც შეუძლებელი და არასასურველია.

მაგრამ ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან ქედმაღლობის და სარკაზმის გამოვლენები, ამგვარი მოძრაობის ყველა მომხრის, როგორც „ბნელის“ სტიგმატიზაცია შეიძლება პრობლემის ნაწილი იყოს. მოსაზრება, რომ აღნიშნულ ჯგუფების ბევრი ლიდერი ცივილიზებული დიალოგის შესაძლებლობის მიღმაა, მათ რიგით მომხრეებზეც არ უნდა გავავრცელოთ. ეროვნული იდენტობის თუ კულტურული

**ეროვნული იდენტობის თუ კულტურული ტრადიციების დაცვის დღის წესრიგი თავისთავად სრულიად ლეგიტიმურია და ამის აღიარება მხოლოდ გააძლიერებს ლიბერალური ღირებულებების დამცველთა პოზიციებს.**

ტრადიციების დაცვის დღის წესრიგი თავისთავად სრულიად ლეგიტიმურია და ამის აღიარება მხოლოდ გააძლიერებს ლიბერალური ღირებულებების დამცველთა პოზიციებს.

აქედან გამომდინარე, ყველა სიძნელის გათვალისწინებით, საჭიროა და შესაძლებელია მოინახოს დიალოგის ფორმები სოციალურ-კონსერვატიული პოზიციების დამცველ ადამიანებთან. საკვებით რეალიზებულია იმის დემონსტრირება, რომ ასეთი პოზიციების დაცვა სულაც არ მოითხოვს ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას ან რომელიმე ჯგუფების ჩაგვრას; ასევე, გაცილებით მეტი შეიძლება გაკეთდეს იმ აზრის დასაბუთებად, რომ ეროვნული კულტურის დაცვა არანაირად არ ეწინააღმდეგება ევროპული და ევროატლანტიკური ორიენტაციის კურსს. ასეთი დიალოგის ადეკვატური ფორმების მონახვა შეიძლება რთული აღმოჩნდეს, მაგრამ წარმატების შემთხვევაში შედეგის ღირებულება საკმაოდ მაღალი იქნება.

### შენიშვნები

<sup>1</sup> მაგალითად: ტულუში, ლაშა (რედ.). 2016. *რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში*. თბილისი, ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია. <https://www.ci-lat.ge/images/doc/politikis%20dokumenti.pdf>; მინესაშვილი, სალომე. 2019. „კულტურამეგრევენი პოპულიზმის სოციალური საფუძვლები საქართველოში“. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. პოლიტიკის დოკუმენტი #16. <http://gip.ge/ge/%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96/>; გელაშვილი, თამაზა. 2019. „მემარჯვენე ექსტრემიზმის პოლიტიკური შესაძლებლობები საქართველოში“. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. პოლიტიკის დოკუმენტი #20. <http://gip.ge/ge/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1/>; CRRC-Georgia. *Countering Anti-Western Discourse in Social Media*. CRRC. December 2018; Nodia, Ghia. 2018. “Nativists Versus Global Liberalism in Georgia”. in Richard Youngs (Ed). *The Mobilization of Conservative Civil Society*. Washington DC: Carnegie Endowment for International Peace. 45-50. Online: <https://carnegieeurope.eu/2018/10/04/mobilization-of-conservative-civil-society-pub-77366>

ტულუში, ლაშა, კობა თურმანიძე და სხვ. *ანტი-ლიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხე საქართველოს რეგიონებში*. ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი და CRRC-Georgia (თარღის გარეშე), <http://www.ci-lat.ge/images/doc/antiliberal-populismc-kartuli.pdf>.

<sup>2</sup> ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მითების დეტექტორი“ და სხვა პროექტები, რომელსაც ორგანიზაცია „მედის განვითარების ფონდი“ ახორციელებს – იხ. <http://www.mythdetector.ge/ka>.

<sup>3</sup> კონკრეტული აქტორების ხსენებისას, არსებითად, იქიდან ამოვიღოთ, თუ ვის თვლიდნენ აღნიშნულ მითების ძირითად წარმომადგენლებად გამოკითხული ექსპერტები.

<sup>4</sup> ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) 2020 წლის აგვისტოს კვლევის თანახმად, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდაჭერას გამოკითხულთა 3% აპირებდა, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსას“ – ერთი პროცენტი, ხოლო „თავისუფალი საქართველოსას“ პროცენტზე ნაკლები. IRI. *Public Opinion Survey: Residents of Georgia. August 4-21, 2020*. [https://www.iri.org/sites/default/files/iri\\_poll\\_presentation-georgia\\_august\\_2020.pdf](https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_august_2020.pdf).

- <sup>5</sup> Walzer, M. „*The Idea of Civil Society: A Path to Social Reconstruction*“. *Dissent* Spring 1991, 293-304.
- <sup>6</sup> Glasius M. 2010. „Uncivil Society“. In: Anheier H.K., Toepler S. (eds) *International Encyclopedia of Civil Society*. New York, NY: Springer.
- <sup>7</sup> ეს ჩანს NDI-ს და CRRC-ს მიერ ჩატარებულ კვლევებში Public Attitudes in Georgia – იხ. <https://caucasusbarometer.org/en/datasets/>.
- <sup>8</sup> როგორც წესი, ის პოპულარობით მეორე ადგილზეა გაზეთ „კვირის პალიტრის“ შემდეგ, ან, სულ მცირე, ყველაზე პოპულარული გაზეთების სუთეულში შედის: – იხ. IRI. Georgian National Voter Study. May 2003. <https://www.iri.org/sites/default/files/2003%20May%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20May%202003.pdf>; „IRI-ს კვლევის მიხედვით, ყველაზე სანდო და ყველაზე კითხვადი გაზეთი კვლავ „კვირის პალიტრაა“. „კვირის პალიტრა“. 29 ივნისი 2013. <https://www.kvirispalitra.ge/specialurad-saitistvis/17706-iri-s-kvlevis-mikhedvith-yvelaze-sando-da-yvelaze-kithkhvadi-gazethi-kvlav-qkviris-palitraaq.html>.
- <sup>9</sup> მედია პროფილები, „ობიექტივი“. – მედიაMeter. (თარიღის გარეშე). <http://mediameter.ge/ge/media-profiles/obiektiv>
- <sup>10</sup> 2020 წლის ზაფხულში „ქართული მარში“ პოლიტიკურ პარტიად დაფუძნდა – „ულტრანაციონალისტური მოძრაობა „ქართული მარში“ პოლიტიკურ პარტიად გადაკეთდა“. *Civil.ge*. 03/07/2020. <https://civil.ge/ka/archives/358253>.
- <sup>11</sup> “შშ – მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“. *ნეტგაზეთი*. 08.08.2011. <https://netgazeti.ge/life/5972/>.
- <sup>12</sup> ბიზნესმენ ლევან ვასაძის კავშირი „ოჯახების მსოფლიო კონგრესთან“, რომელიც LGBTQ თემის და მისი დამცველების შეხედულებათა ოპონირებით არის ცნობილი, ამ მხრივ, უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციას რუსეთთანაც აქვს მჭიდრო კავშირი – იხ. <https://www.mythdetector.ge/en/myth/russian-links-world-congress-families>).
- <sup>13</sup> Judis, John B. 2016. *The Populist Explosion: How the Great Recession Transformed American and European Politics*. New York: Columbia Global Reports; Eatwell, Roger, and Matthew Goodwin. 2018. *National Populism: The Revolt Against Liberal Democracy*. London: Pelican Books; Lind, Michael. 2020. *The New Class War: Saving Democracy from the Managerial Elite*. New York: Penguin Random House.
- <sup>14</sup> Nye, Joseph S. Jr., (1990) “Soft Power”, *Foreign Policy* No 80, 153-171.
- <sup>15</sup> Walker, Christopher, and Jessica Ludwig. 2017. “The Meaning of Sharp Power: How Authoritarian States Project Influence”. *Foreign Affairs*, November 16, 2017. <https://www.foreignaffairs.com/articles/china/2017-11-16/meaning-sharp-power>.
- <sup>16</sup> Markozashvili, Lasha, and Tinatini Dvalishvili. 2017. “Russian smart power in Georgia”. *Przeglad Polilogiczny – Political Science Revue*, No. 4, 187-202.
- <sup>17</sup> Collier, Paul. 2014. *Exodus: Immigration and Multiculturalism in the 21st Century*. London: Penguin Books; Eatwell, Roger, and Matthew Goodwin. დასახ. ნაშრ.
- <sup>18</sup> მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. 2019. „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი“. თბილისი. [http://migration.commission.ge/files/mp19\\_web3.pdf](http://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf); მწვანე კავკასია. „საჯარო ინფორმაცია იმიგრაციის შესახებ. განახლებული ანგარიში 2018,“ [http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2018/06/Updated-Report\\_Public-Information-about-Immigration\\_May\\_2018.pdf](http://www.ivote.ge/GREENCAUCASUS/wp-content/uploads/2018/06/Updated-Report_Public-Information-about-Immigration_May_2018.pdf).
- <sup>19</sup> ამაში არ უნდა აგვერიოს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი – მათ ხშირად არაკორექტულად „ელტოლვილებს“ უწოდებენ. „ელტოლვილის“ ქვეშ აქ ვგულისხმობთ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საქართველოში თავშესაფარს ეძებს.
- <sup>20</sup> გოგიაშვილი, მარიამ, და სალომე ცეცხლაძე. 2018. „ქართული ნეონაციზმის ანატომია“. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო. 17 მაისი 2018, <https://www.transparency.ge/ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia>; „ი.წ. ქართველთა მარშის მონაწილეები აღმაშენებლის გამზირზე იკრიბებიან“. *ტაბულა*. 14 ივლისი 2017. <http://www.tabula.ge/ge/story/122000-ets-qartvelta-marshis-monatsilebi-aghmasheneblis-gamzirze-ikribebian>.
- <sup>21</sup> აქ მნიშვნელობა არა აქვს, როგორ შევავსებთ ამ ეკონომიკური არგუმენტის სისწორეს: მთავარია, რომ ეს წარმოდგენა არსებობს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასავლური ნეიტევისტური პოპულიზმის გზავნილებში.
- <sup>22</sup> Mounk, Yascha. 2018. *The People vs. Democracy: Why Our Freedom Is in Danger and How to Save It*. Cambridge, Mass.: Harvard University Press; Eatwell and Goodwin, დასახ. ნაშრ.
- <sup>23</sup> „ნატოში გაწევრიანებაზე საუბარი რეალისტური არ არის და საქართველოს ინტერესებში არ შედის“ – მედია-პოლიტიკა „კვირა“. 10.07.2015. <http://kvira.ge/192372>.
- <sup>24</sup> Pomerantsev, Peter. 2014. *Nothing Is True and Everything Is Possible: The Surreal Heart of the New Russia* New York: Public Affairs; Cooley, Alexander. 2015. “Countering Democratic Norms”, *Journal of Democracy* 26- 3, 49-63; Shekhovtsov, Anton. 2018. *Russia and the Western Far Right: Tango Noir*. London and New York: Routledge; Walker, Christopher, and Jessica Ludwig, eds. 2017. *Sharp Power: Rising Authoritarian Influence*. Washington, D.C.: National Endowment for Democracy.
- <sup>25</sup> Sichinava, David. “Georgia’s far right are anti-Russian but share Russian narratives”. *OC Media*. 2 April 2019. <https://oc-media.org/analysis-georgia-s-far-right-are-anti-russian-but-share-russian-narratives/>.
- <sup>26</sup> „დimitრი ლორთქიფანიძე МИД-ის “პრიმაკოვის ფონდის” ქართული ოფისის უფროსი გახდა“. *ტაბულა*. 18 მაისი 2018. <http://www.tabula.ge/ge/story/132877-dimitri-lortqifanidze-mid-is-primakovis-fondis-qartuli-ofisis-ufrosi-gaxda>.

- <sup>27</sup> Shekhovtsov, დანაბ. ნაშრ.
- <sup>28</sup> იქვე.
- <sup>29</sup> იქვე, 3.
- <sup>30</sup> Krauthammer, Charles. 1991. "The Unipolar Moment". *Foreign Affairs*. Vol, 70-1. 23-33.
- <sup>31</sup> Zakaria, Fareed. 2019. „The Self-Destruction of American Power: Washington Squandered the Unipolar Moment”. *Foreign Affairs*. Vol 98-4, 10-16.
- <sup>32</sup> Gat, Azar. 2010. *Victorious and Vulnerable: Why Democracy Won in the 20<sup>th</sup> Century and How It Is Still Imperiled*. Lanham, etc.: Rowman and Littlefield Publishers.
- <sup>33</sup> Asmus, Ronald. 2010. *A Little War that Shook the World. Georgia, Russia, and the Future of the West*. New York: Palgrave Macmillan.
- <sup>34</sup> Al-Anani, Khalil. 2018 "The United States and the Democracy Delusion"/ Brookings Op-Ed. 19.08.2008. <https://www.brookings.edu/opinions/the-united-states-and-the-democracy-delusion/>; North, Andrew. "Georgia's Long Road to Europe: How the West Forgot about Tbilisi". *Foreign Affairs* August 16, 2016, <https://www.foreignaffairs.com/articles/georgia/2016-08-11/georgias-long-road-europe>.
- <sup>35</sup> Alexashenko, Sergey, "Evaluating Western Sanctions on Russia". *Atlantic Council*. December 2016. <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/evaluating-western-sanctions-on-russia/>.
- <sup>36</sup> "პუტინი მოსკოვში ნოლიადელს შეხვდა". Civil Georgia. 23.12.2009. <https://civil.ge/ka/archives/147319/>; "ბურჯანაძე პუტინს შეხვდა". Civil Georgia. 04.03.2010, <https://civil.ge/ka/archives/147576>.
- <sup>37</sup> Nodia, Ghia. 2014. "The Revenge of Geopolitics". *Journal of Democracy*. No. 25-4, 139-150.
- <sup>38</sup> „ნინო ბურჯანაძე, ინცესტი და ევროკავშირი.“ ნეტგაზეთი. 13.05. 2014, <https://netgazeti.ge/news/31678/>.
- <sup>39</sup> Whitmore, Brian. „Vladimir Putin, Conservative Icon: The Russian president is positioning himself as the world's leading defender of traditional values”. *The Atlantic*. December 20, 2013. <https://www.theatlantic.com/international/archive/2013/12/vladimir-putin-conservative-icon/282572/>.
- <sup>40</sup> Human Rights Watch, "Memorandum to the U.S. Government on Religious Violence in the Republic of Georgia", 29 August 2001, [https://www.hrw.org/legacy/backgrounder/eca/georgia/georgia\\_memo\\_0801.pdf](https://www.hrw.org/legacy/backgrounder/eca/georgia/georgia_memo_0801.pdf).
- <sup>41</sup> Mitchell, Lincoln A. 2006 "Democracy in Georgia since the Rose Revolution". *Orbis* 50 (4), 669-676. Aprasidze, David. 2016. "25 Years of Georgia's Democratization: Still Work in Progress", in: Ghia Nodia, (ed.) *25 Years of Independent Georgia: Achievements and Unfinished Projects*, Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung, Ilia State University Press, 91-129.
- <sup>42</sup> Cheterian, Vicken. 2008. "Georgia's Rose Revolution: Change or Repetition? Tension between state-building and modernization projects", *Nationalities Papers* 36-4, 689-712; Nodia, Ghia. 2013. "The Record of the Rose Revolution: Mixed but still impressive", in: Vichen Cheterian, Ed., *From Perestroika to Rainbow Revolutions: Reform and Revolution after socialism*. C. Hurst and Co: London, 85-115; The World Bank. 2012. *Fighting Corruption in Public Services: Chronicling Georgia's Reforms*. Washington, DC: The World Bank.
- <sup>43</sup> "Georgia's mental revolution". *The Economist*, 21.08. 2010. <https://www.economist.com/europe/2010/08/19/georgias-mental-revolution>.
- <sup>44</sup> ერთ-ერთ თავის საჯარო გამოსვლაში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა „ჩარეცხილები“ უწოდა ადამიანებს, ვინც პოლიციასთან თანამშრომლობას სამარცხვინოდ მიიჩნევდა. (იხ. [https://youtu.be/9vU\\_1wY\\_4Mo](https://youtu.be/9vU_1wY_4Mo)). თუმცა, შემდეგ მისი კრიტიკოსები ამ სიტყვას განზოგადებული მნიშვნელობით ხმარობდნენ, როგორც ძველი თაობის ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულების გამოხატულებას.
- <sup>45</sup> როდესაც 2013 წლის 17 მაისს აღნ ჯგუფებმა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად LGBTQ ჯგუფების მხარდამჭერი აქცია დაარბიეს, დარბევის ერთ-ერთმა ღია მხარდამჭერმა, მეუფე იაკობმა, თავის ქადაგებაში ისე წარმოადგინა საქმე, თითქოს მათ ნაციონალური მოძრაობის მემკვიდრეობაზე გაიმარჯვეს: მის თვალში, LGBTQ უფლებების დამცველთა „გათამამება“ სწორედ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის შედეგი იყო. – იხ. <https://youtu.be/Z7NXv1YUqvE>.
- <sup>46</sup> ეს განწვობა „პატრიოტთა ალიანსმა“ გამოხატა ლოზუნგით: "მუშტი ნაცებს, სილა ქოცებს" – იხ. "მუშტი ნაცებს, სილა ქოცებს" – პატრიოტთა ალიანსმა ენმ-ის წინააღმდეგ აქცია გამართა". *ტაბულა*. 26.11.2018. <http://www.tabula.ge/ge/photo/140359-mushti-nacebs-sila-qocebs-patriotta-aliansma-cnm-is-tsinaagmdeg-aq-cia-gamarta>.
- <sup>47</sup> „სამართლდამცავებმა ბასილ მკალაიშვილი დააპატიმრეს“. *Civil.ge*. 12.02.2004. <https://civil.ge/ka/archives/131756>.
- <sup>48</sup> „რვა პიროვნება „კაკაკასიაში“ მომხდარი ჩხუბის გამო სასამართლომ დააპატიმრებ ცნო“. *Civil.ge*. 13. 08.2010, <https://civil.ge/ka/archives/148154>.
- <sup>49</sup> აქ თავს შეეკავებთ იმის შეფასებისგან, ეს პოლიტიკა მეტისმეტად თუ არასაკმარისად მკაცრი იყო: ქართულ საზოგადოებაში ორივე მოსაზრება არსებობს.
- <sup>50</sup> Delemenchuk, Sasha, and Agit Mirzoev. 2019. „Georgia's government is failing to take on right-wing extremism“. *OC Media*. 07.08.2019. <https://oc-media.org/opinions/opinion-georgia-s-government-is-failing-to-take-on-right-wing-extremism/>.
- <sup>51</sup> მაგალითად, ოპოზიციონერ პოლიტიკოს ირაკლი ოქრუაშვილს სასამართლომ „ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში მონაწილეობისთვის“ 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. – "სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილს 20-21

- ინისის საქმეზე 5 წლიანი პატიმრობა შეუფარდა”. Civil.ge. 14.04.20. <https://civil.ge/ka/archives/346665>; მოგვიანებით ის პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა შეიწყალა, შესაძლოა, ოპოზიციასთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებში – „პრეზიდენტმა გიგა უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი შეიწყალა“. Civil.ge. 15.05.2020, <https://civil.ge/ka/archives/352014>.
- <sup>52</sup> “2013 წლის 17 მაისის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს განაჩენის ანალიზი“. WISG და EMC. 22 დეკემბერი 2015. <https://emc.org.ge/ka/products/2013-tslis-17-maisis-sakmestan-dakavshirebit-sasamartlos-ganachenis-analizi>.
- <sup>53</sup> მედიის განვითარების ფონდი. „საბიუჯეტო სახსრები სიძულვილის ენისა და ანტიდასავლური განწყობების გამავრცელებელ მედიაში“. ანგარიში 2015. <https://mdfgeorgia.ge/uploads/Report%20on%20Obiektiv%20&%20others.pdf>; მედიის განვითარების ფონდი. „მედიის ფინანსური გამჭვირვალობა 2018“. [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/127/file/mediis\\_finansuri\\_gamWvivaloba\\_2018.pdf?fbclid=IwAR3qHnWyJpWfunmc8Z79oYy-cCy8Ts7fz92rRUQlxiC5kfbvUuQuinqK-2E](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/127/file/mediis_finansuri_gamWvivaloba_2018.pdf?fbclid=IwAR3qHnWyJpWfunmc8Z79oYy-cCy8Ts7fz92rRUQlxiC5kfbvUuQuinqK-2E).
- <sup>54</sup> მაგალითად, მედიის განვითარების ფონდის კვლევის თანახმად, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მხოლოდ „ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლებს ჩამორჩებოდნენ მედიაში სიძულვილის ენის და დისკრიმინაციული გამოთქმების სიხვედრით. მედიის განვითარების ფონდი, „სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოხატვა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში“, 17-თებერვალი – 17 მაისი 2014 წ. – [http://mdfgeorgia.ge/uploads//Hate\\_speech\\_in\\_political\\_discourse.pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads//Hate_speech_in_political_discourse.pdf). 2019 წლის კვლევით, „ქართული ოცნება“ ამავე ნიშნით მხოლოდ სამ ალენ მიმართულების პარტიას ჩამორჩა – მედიის განვითარების ფონდი, „სიძულვილის ენა 2019“, [http://mdfgeorgia.ge/uploads/library/183/file/Hate\\_Speech-Booklet-GEO-FINAL-compressed.pdf](http://mdfgeorgia.ge/uploads/library/183/file/Hate_Speech-Booklet-GEO-FINAL-compressed.pdf).
- <sup>55</sup> „საქართველოს ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა“. Civil.ge. 17.12.2018. <https://civil.ge/ka/archives/271341>.
- <sup>56</sup> „პატრიოტთა ალიანსმა“ ნაციონალური მოძრაობის საწინააღმდეგო აქციები გამართა“. Civil.ge. 26.11.2018. <https://civil.ge/ka/archives/267490>.
- <sup>57</sup> “შინაგან საქმეთა მინისტრთან საუბრის შემდეგ, აქციის მონაწილეებმა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს“. Civil.ge, 14.05.2018, <https://civil.ge/ka/archives/241535>.
- <sup>58</sup> იხ. მედიის განვითარების ფონდი. „სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამოხატვა...“.
- <sup>59</sup> “ვილაცის უფლებები თუ ირღვევა, არ ნიშნავს, რომ უმცირესობამ უმრავლესობის უფლებები შელახოს – ხაზარაძე“. ნეტგაზეთი. 07.06.2020. <https://netgazeti.ge/news/458692/>.
- <sup>60</sup> თორნტონი, ლორა, და კობა თურმანიძე. „საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები“.
- <sup>61</sup> „რუსთაველის გამზირზე პატრიარქის ქორეპისკოპოსიც მივიდა“. ტაბულა. 17.05.2013. <http://www.tabula.ge/ge/story/71189-rustavelis-gamzirze-patriarxis-qorepiskoposic-mivida>; “მართლმადიდებელმა აქტივისტებმა ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქცია ჩაშალეს“. Civil.ge. 17.05.2013. <https://civil.ge/ka/archives/151750>.
- <sup>62</sup> “ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი მიღებულია“. Civil.ge. 02.05.2014. <https://civil.ge/ka/archives/152937>.
- <sup>63</sup> მინესაშვილი, სალომე. 2018. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც სამოქალაქო აქტორი“. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის დოკუმენტი #8. <http://gip.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94/>.
- <sup>64</sup> “ილია მეორე: ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო ევროპული ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრი გახდეს“. რეპორტიორი. 4 მარტი 2014. <http://reportiori.ge/old/?menuid=2&id=18718>.
- <sup>65</sup> Zedania, Giga. 2011. ”The Rise of Religious Nationalism in Georgia”. *Identity Studies* 3. 121-128.
- <sup>66</sup> ეს ვითარება ექსპერტებმა დაადასტურეს თავიანთ ინტერვიუებში.
- <sup>67</sup> „ილია მეორე – აუცილებელია რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების პროცედურა შეჩერდეს“. ინტერპრესნიუსი. 04.07.2011. <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/173705-ilia-meore-aucilebeli-ramdenime-religiuri-gaerthianebisthvis-sajaro-samarthlis-iuriduli-piris-statusis-minitcebis-procedura-shecherdes.html>
- <sup>68</sup> ფერაძე, ქეთი. „მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ გიგა ბოკერიასგან განსხვავებით მართლმადიდებელი ქრისტიანია, ატარებს ჯვარს და 600 ეკლესია ააშენა“. თაიმერი. 30.09.2019; <https://www.timer.ge/mikheil-saakashvili-ackhadabs-rom-giga-bokeriasgan-ganskhvavebith-marthlmadidebeli-ristiania-at-arebs-jvars-da-600-eklesia-aashena/>. „სააკაშვილი: ეკლესია ჩემს დროს გაძლიერდა და ამით ვამაყობ, ჩემს პირად მიღწევად მიმაჩნია“. ტაბულა. 12.11.2019. <http://www.tabula.ge/ge/verbatim/159200-saakashvili-eklesia-chems-dros-gadzlierda-da-amit-vamakob-chems-pirad-mightsevad>.
- <sup>69</sup> ჩხეიძე, თამარ. „მმკ, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“. Netgazeti.ge. 08.08.2011, <https://netgazeti.ge/life/5972/>.
- <sup>70</sup> Han, Kyung Joon. 2016. “Income inequality and voting for radical right-wing parties”. *Electoral Studies*, June 2016. 54-64. Engler, Sarah, and David Weisstanner. “Income inequality, status decline and support for the radical right”. in; Careja, Romana, Patrick Emmenegger, and Nathalie Giger (eds). 2020. *The European Social Model under Pressure*. Wiesbaden: Springer VS. 383-400.
- <sup>71</sup> The World Bank in Georgia. Overview. <https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview>.
- <sup>72</sup> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ბიოგრაფიული ლექსიკონი. „ლევან ვასაძე“. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00008183/>.



- <sup>73</sup> იხ., მაგალითად, NDI-ს და CRRC-მრავალრიცხოვანი კვლევები – <https://www.ndi.org/georgia-polls>.
- <sup>74</sup> იხ. ამაზე საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, „სიძულვილის ენის აღმოფხვრა პოლიტიკურ დისკურსში – სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თვითრეგულაციის მექანიზმებისკენ“ (გამოცემის თარიღის გარეშე). <https://gdi.ge/uploads/other/0/192.pdf>; აჩბა, სალომე. „უნდა ისჯებოდეს თუ არა საჯარო სიძულვილი“. HumanRights.ge 16.05.2012. <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=14881&lang=geo>.
- <sup>75</sup> „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, შესაძლოა, დასჯადი გახდეს“. MediaMall. 24.04.2018, <http://mediamall.ge/new/64155-religiuri-grdznobebis-sheurackhyofa-shesadzloa-dasjadi-gakhdes>.
- <sup>76</sup> სილაგაძე, ნიკოლოზ, და რუსუდან თევზაძე. 2013. „სამოქალაქო განათლება IX-X კლასებში. 2011-2016 წლების გზამკვლევი მასწავლებლებისთვის“. თბილისი. 2013.
- <sup>77</sup> ქოქოშვილი, დათო. „საგანი “მე და საზოგადოება” ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმებში შევიდა“. ნეტგაზეთი. 30.05.2016, <https://netgazeti.ge/news/119177/>.

© 2020 მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი  
თბილისი, 0154 აკაკი წერეთლის 72; [www.cipdd.org](http://www.cipdd.org)  
კონტაქტი: [info@cipdd.org](mailto:info@cipdd.org); +995 32 2355154

ნაშრომი მომზადებულია აშშ დემოკრატიის ეროვნული ფონდის (National Endowment for Democracy) დახმარებით.

**კვლევითი ჯგუფი:** რუსუდან აფციაური, მერი ნატროშვილი, ფლორა ფაჩულია

**რედაქტორი:** ზეინაბ სარაძე



